*დანართი №6*




## ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა

**(ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის დამატების/ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებისთვის მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გაზრდის/ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების მიერ იმავე მუნიციპალიტეტის ფარგლებში საგანმანათლებლო საქმიანობის მისამართის/ფართის ცვლილების, ავტორიზაციის პირობების შესრულების შემოწმების[1] შესახებ)**

**(შპს ქართულ-ამერიკული საერთაშორისო სკოლა პროგრესი,ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების მიერ იმავე მუნიციპალიტეტის ფარგლებში ფართის ცვლილება)**

**ექსპერტთა ჯგუფის წევრები**
**თავმჯდომარე:**
მაია ბუაძე (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, თავმჯდომარე);
**წევრ(ებ)ი:**
ნათია ბრეგაძე (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, წევრი).

[1] **შენიშვნა:** ადმინისტრაციული წარმოების მიზნებიდან და შესაბამის ბრძანებაში განსაზღვრული შემოწმების ფარგლებიდან გამომდინარე, შესაძლოა დასკვნის ფორმის ყველა ველი არ შეივსოს ან დასკვნა დაიწეროს თხრობითი სახით.

## ნაწილი I. შესავალი

***<u>ადმინისტრაციული წარმოების სახე (მონიშნეთ შესაბამისი უჯრა):</u>***

☐ ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის დამატება

☐ მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გაზრდა

☒ იმავე მუნიციპალიტეტში ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მისამართის/ფართის ცვლილება

☐ ავტორიზაციის პირობების შესრულების შემოწმება

☐ **გეგმიური**

☐ **არაგეგმიური**

## I. ინფორმაცია ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ

| ინფორმაცია დაწესებულების შესახებ | |
|---|---|
| ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება | შპს ქართულ-ამერიკული საერთაშორისო სკოლა პროგრესი |
| ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა | შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება |
| ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების (გადასახადის გადამხდელის) საიდენტიფიკაციო კოდი | 212807550 |

## II. საკონტაქტო ინფორმაცია

| საკონტაქტო ინფორმაცია | |
|---|---|
| მუნიციპალიტეტი (სოფელი/დაბა/ქალაქი) | იმერეთი.ქალაქი ქუთაისი |
| ფაქტობრივი მისამართი | ქუთაისი, დავით აღმაშენებლის გ№20<br>ახალი ფართი - ქუთაისი, ზურაბ ანჯაფარიძის ქუჩა N 120 |
| საფოსტო ინდექსი | 4600 |
| ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ვებ-გვერდი | https://progresskutaisi.ge/ka |
| ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ელ-ფოსტა | gaschoolprogressinfo@gmail.com<br>infokutaisi@schoolprogress.ge |
| ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ტელეფონის ნომერი (არსებობის შემთხვევაში) | (995 431)25 25 09 |

## III. ინფორმაცია ვიზიტის შესახებ

| | |
|---|---|
| წარმოების საფუძველი (ბრძანების ნომერი და თარიღი) | MES 0 26 0000772560, 22/06/2026 |
| ვიზიტის თარიღი (არსებობის შემთხვევაში) | 3 ივლისი, 2026წ. |

## IV. ინფორმაცია ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის შესახებ *(ივსება ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის დამატების წარმოებაზე)*

***„ზოგადი განათლების შესახებ“*** საქართველოს კანონის 32-ე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, გთხოვთ, ასახოთ ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა, რომლის დამატებაც სურს სკოლას.

| ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება | ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის საფეხური | ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ენა | ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილი (მუნიციპალიტეტის, ქალაქის, დაბის/სოფლის/ქუჩის და შენობა-ნაგებობების რაოდენობის მითითებით) |
|---|---|---|---|

| | | | |
|---|---|---|---|
| | | | |

## V. ინფორმაცია ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის შესახებ (ივსება ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების მიერ იმავე მუნიციპალიტეტის ფარგლებში საგანმანათლებლო საქმიანობის მისამართის/ფართის ცვლილების წარმოებაზე)

***„ზოგადი განათლების შესახებ“*** საქართველოს კანონის 32-ე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, გთხოვთ, ასახოთ ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა, რომლის განხორციელების ადგილის/ფართის ცვლილება სურს სკოლას.

| ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება | ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის საფეხური | ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ენა | ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილი (მუნიციპალიტეტის, ქალაქის, დაბის/სოფლის/ქუჩის და |
|---|---|---|---|

| | | | |
|---|---|---|---|
| | | | შენობა-ნაგებობების რაოდენობის მითითებით) |
| ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა | დაწყებითი საგანმანათლებლო პროგრამა | ქართული/ინგლისური | იმერეთი, ქ. ქუთაისი დ. აღმაშენებლის №20.შენობა- ნაგებობა-2 ახალი ფართი-ზურაბ ანჯაფარიძის ქ.N120 ნაგებობა-1 |

## VI. შეფასების პროცესის საერთო მიმოხილვა

სსიპ – განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის 2026 წლის 22 ივნისის № MES 0 26 0000772560 ბრძანების საფუძველზე, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფს - თავმჯდომარე მაია ბუაძე (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი) და წევრი ნათია ბრეგაძე (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, წევრი) — დაევალა შპს ქართულ-ამერიკული საერთაშორისო სკოლა პროგრესის მიერ ახალი ფართის დამატების წარმოების ფარგლებში ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის III სტანდარტის შესაბამისობის შეფასება  შპს ქართულ-ამერიკული საერთაშორისო სკოლა პროგრესში(ს/კ: 212807550) 2026 წლის 3 ივლისს ადგილზე ვიზიტით.
ბრძანების შესაბამისად, განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტებმა განახორციელეს ადგილზე შეფასების პროცესი შპს ქართულ-ამერიკულ საერთაშორისო სკოლა პროგრესში.  ვიზიტამდე, სრულფასოვანი შეფასების უზრუნველსაყოფად, ექსპერტთა ჯგუფმა შეისწავლა დაწესებულების მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია, განსაზღვრა დასაზუსტებელი საკითხები, გამართა რამდენიმე ონლაინშეხვედრა, რომლებზეც შეთანხმდა შეფასების მიდგომა და დაზუსტდა ადმინისტრაციული წარმოების დღის წესრიგი. აღნიშნული გეგმა წინასწარ გადაეგზავნა დაწესებულებას და ვიზიტი განხორციელდა სწორედ ამ გეგმის შესაბამისად. ვიზიტის ფარგლებში, ექსპერტებმა განახორციელეს შეხვედრები სკოლის ადმინისტრაციასთან,  მოსწავლეებთან და მათ მშობლებთან. ასევე დაათვალიერეს სკოლის ახალი ფართის მატერიალურ-ტექნიკური რესურსი და შეაფასეს დაწესებულების ფაქტობრივი მდგომარეობა.

შეფასების პროცესი წარიმართა თანამშრომლობისა და კეთილგანწყობის გარემოში - დაწესებულებამ ხელი შეუწყო ექსპერტთა საქმიანობას და უზრუნველყო შესაბამისი მტკიცებულებების წარმოდგენა. დასკვნით ეტაპზე, ვიზიტის შედეგების პრეზენტაციისას, ექსპერტებმა წარმოადგინეს დოკუმენტური ანალიზისა და გასაუბრებების შედეგად ჩამოყალიბებული მიგნებები, რომლებზეც მიეწოდათ ინფორმაცია დაწესებულების წარმომადგენლებს ვიზიტის დასრულებისას.

## VII. ინფორმაცია მოსწავლეების შესახებ

| საბჭოს მიერ განსაზღვრული მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა | აქტიური სტატუსის მქონე მოსწავლეთა რაოდენობა |
|---|---|
| **800** | **719** |

## VIII. საუკეთესო გამოცდილების საერთო მიმოხილვა

შპს „ქართულ-ამერიკული საერთაშორისო სკოლა პროგრესი“ გამოირჩევა მაღალი საერთაშორისო სტანდარტებითა და ძლიერი სასწავლო-ადმინისტრაციული მმართველობით. სკოლის ერთ-ერთ უმთავრეს ძლიერ მხარეს წარმოადგენს ამერიკის შეერთებული შტატების College Board-ის მიერ მინიჭებული აკრედიტაცია, რაც მოსწავლეებს შესაძლებლობას აძლევს, დაეუფლონ საერთაშორისო ინგლისურენოვან პროგრამებს და აქტიურად ჩაერთონ სხვადასხვა სასწავლო-სამეცნიერო კონფერენციაში. სკოლაში არსებობს მომავლის უნარებზე ორიენტირებული განათლება, როგორიცაა ბიზნეს განათლება, წიგნიერება, მედიაწიგნიერება, ციფრული მოქალაქეობა, ლოგიკა, ჭადრაკი და STEM მიმართულება. გარდა ამისა, დაწესებულებაში წარმატებით მოქმედებს პროფესიული ორიენტაციისა და კარიერული დაგეგმვის პროგრამა, ხოლო აკადემიური მოტივაციის ასამაღლებლად დანერგილია საუკეთესო პრაქტიკა წარჩინებული მოსწავლეებისათვის სპეციალური სტიპენდიების გაცემის სახით. სკოლის წარმატების საფუძველია კარგად სტრუქტურირებული, მოქნილი და გამართული მართვის სისტემები. ორგანიზაციულ სტრუქტურაში ფუნქციები და პასუხისმგებლობები მკაფიოდ არის გადანაწილებული სხვადასხვა ერთეულებსა და პროფილირებულ სპეციალისტებს შორის. ორგანიზაციულ სიმყარეს ეფექტურად აძლიერებს სკოლის თანამედროვე, მაღალფუნქციური ოფიციალური ვებ-გვერდი, რომელიც წარმოადგენს მთავარ საინფორმაციო და საკომუნიკაციო ჰაბს სასკოლო საზოგადოებისთვის; მისი საშუალებით ოპერატიულად ხელმისაწვდომია სიახლეები, სასწავლო რესურსები და ელექტრონული სერვისები. აღნიშნულ ერთიან სასწავლო პროცესში უმნიშვნელოვანესი როლი ენიჭება მშობელთა ასოციაციას. სკოლაში ჩამოყალიბებულია მჭიდრო, ორმხრივი და გამჭვირვალე პარტნიორობა მშობლებსა და ადმინისტრაციას შორის. მშობელთა ასოციაცია აქტიურად არის ჩართული სასკოლო ცხოვრებაში, სხვადასხვა საგანმანათლებლო და კულტურული პროექტების დაგეგმვასა და

მართვაში. მშობლების  მხრიდან გამოხატული მუდმივი მხარდაჭერა, კონსტრუქციული უკუკავშირი და ერთობლივი ზრუნვა პირდაპირ არის მიმართული სასწავლო გარემოს ეტაპობრივ განვითარებასა და სკოლის საერთო ხარისხის უწყვეტ გაუმჯობესებაზე.

## IX. ინფორმაცია ექსპერტთა ჯგუფის მიერ არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების ან არ გაზიარების თაობაზე

*გთხოვთ, დეტალურად ასახოთ ინფორმაცია ექსპერტთა ჯგუფის მიერ არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების ან არ გაზიარების თაობაზე.*

ექსპერტთა ჯგუფი დაეთანხმა სკოლის არგუმენტირებულ პოზიციას.

## X. ინფორმაცია კურიკულუმის განხორციელებისთვის საჭირო რესურსის შესახებ (ივსება მხოლოდ ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მისამართის/ფართის ცვლილების წარმოებაზე)

*გთხოვთ, ასახოთ ინფორმაცია შეცვლილ მისამართზე/ფართზე კურიკულუმის განხორციელებისთვის საჭირო ადამიანური, მატერიალური და სასწავლო რესურსის შესახებ*

საგანმანათლებლო დაწესებულების ახალი ფართი მდებარეობს ქუთაისში, ზურაბ ანჯაფარიძის №120-ში (ს/კ. 03.04.32.238), შენობა-ნაგებობა №01/4. ფართის საერთო მოცულობა შეადგენს **3274.87 კვ.მ-ს**.

ახალი ფართი სკოლას იჯარის ხელშეკრულების საფუძველზე აქვს აღებული. იჯარის ხელშეკრულების მოქმედების ვადაა **2026 წლის 3 თებერვლიდან 2041 წლის 10 ოქტომბრამდე (15 წელი)**.

ახალი სასწავლო სივრცე გათვალისწინებულია კურიკულუმის სრულფასოვანი განხორციელებისთვის საჭირო ადამიანური, მატერიალური და სასწავლო რესურსების განსათავსებლად. აღნიშნულ ფართში უზრუნველყოფილი იქნება სასწავლო პროცესისთვის აუცილებელი საკლასო ოთახები, ადმინისტრაციული და დამხმარე სივრცეები, შესაბამისი სასწავლო ინვენტარი, ტექნიკური აღჭურვილობა, სასწავლო რესურსები და სხვა მატერიალური საშუალებები, რომლებიც შეესაბამება მოქმედი კანონმდებლობითა და ავტორიზაციის სტანდარტებით განსაზღვრულ მოთხოვნებს.სკოლას ახალი სასწავლო ფართის ფუნქციონირებისთვის ჰყავს საკმარისი ადამიანური რესურსი. სასწავლო პროცესს უზრუნველყოფენ შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე მასწავლებლები, რომელთა რაოდენობა და კომპეტენცია შეესაბამება მოსწავლეთა კონტინგენტს, მოქმედი კანონმდებლობითა და ავტორიზაციის სტანდარტებით დადგენილ მოთხოვნებს.

ექსპერტთა ვიზიტის პერიოდში  სკოლაში მიმდინარე სარეაბილიტაციო სამუშაოები დასასრულს უახლოვდებოდა. აღნიშნულის გამო, ობიექტზე ინფრასტრუქტურისა და მატერიალური რესურსების რეალური ხელმისაწვდომობის, უსაფრთხოების, ფუნქციური გამართულობისა და სტანდარტებთან შესაბამისობის სრულყოფილი ვერიფიკაცია აღნიშნულ ეტაპზე ვერ განხორციელდა.

სკოლამ წარმოადგინა არგუმენტირებული პოზიცია,შესაბამისობის უზრუნველყოფის  გეგმა და შესაბამისობი უზრუნველყოფის აქტივობების შესრულების შესაბამისი მტკიცებულებები: ობიექტზე ინფრასტრუქტურისა და მატერიალურ რესურსების  ხელმისაწვდომობის, უსაფრთხოებისა  ფუნქციური გამართულობის ამსახველი დოკუმენტაცია, შესაბამისი ფოტომასალა. წარმოდგენილი დოკუმენტური მტკიცებულებების საფუძველზე დასტურდება სკოლის ახალი ფართის  ინფრასტრუქტურული გამართულობა, მისი უსაფრთხოების, ფუნქციური ვარგისიანობისა და შესაბამის მატერიალური რესურსებით უზრუნველყოფის მდგომარეობა.

# ნაწილი II: სტანდარტების შეფასება, ხარვეზები, რეკომენდაციები და რჩევები

## I. ავტორიზაციის I, III და IV სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასების ცხრილი

| **სტანდარტი/კომპონენტი** | **ექსპერტთა ჯგუფის შეფასება**<br>*(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)* |
|---|---|
| **სტანდარტი 3**<br>სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა | ☐ **შეესაბამება**<br>☒ **მეტწილად შეესაბამება**<br>☐ **ნაწილობრივ შეესაბამება**<br>☐ **არ შეესაბამება** |
| **კომპონენტი 3.1**<br>პერსონალის მართვა | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| **კომპონენტი 3.2**<br>პერსონალის განვითარება | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| **კომპონენტი 3.3**<br>პროცესების მართვა | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| **კომპონენტი 3.4**<br>ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოება | ☐ შეესაბამება<br>☒ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |

| | |
|---|---|
| **კომპონენტი 3.5**<br>მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| **კომპონენტი 3.6**<br>საინფორმაციო რესურსები | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| **კომპონენტი 3.7**<br>ფინანსური რესურსები | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |

## II. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების მიერ მოთხოვნილი მოსწავლეთა ზღვრული რაოდენობის სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასება

(ცხრილი ივსება მოსწავლეთა ზღვრული რაოდენობის გაზრდის წარმოების დროს)

| | ექსპერტთა ჯგუფი ეთანხმება | აღწერა<br>*(იმ შემთხვევაში, თუ ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების განაცხადში მოთხოვნილ მოსწავლეთა ზღვრულ რაოდენობას)* |
|---|---|---|
| | ☐ | |

| | | |
|---|---|---|
| მოსწავლეთა<br>რაოდენობა:<br>---------- | ექსპერტთა<br>ჯგუფი არ<br>ეთანხმება<br><br>☐ | |

## III. გამოვლენილი ხარვეზების შეჯამება

*გთხოვთ, გადმოიტანოთ ყველა ხარვეზი, რომელმაც გამოიწვია სტანდარტის კომპონენტის „შეუსაბამოდ“ შეფასება და და მეორე სტანდარტის „ნაწილობრივ შესაბამისობა“.*

| *სტანდარტი N3* | სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა | *ხარვეზი* |
|---|---|---|
| | | |
| | | |
| | | |

## IV. სტანდარტებთან შესაბამისობის რეკომენდაციების შეჯამება

*გთხოვთ, გადმოიტანოთ ყველა ის რეკომენდაცია, რომელიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას მიეცა სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველსაყოფად (მეტწილი ან/და ნაწილობრივი შესაბამისობა)*[2]

| | | |
|---|---|---|
| *სტანდარტი N3* | სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა | *სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია* |
| *ინდიკატორი N3.4.1.3.* | სკოლა უზრუნველყოფს საზოგადოებრივი წესრიგის დაცვას | სკოლამ 12.11.2025-31.12..2026 პერიოდში უზრუნველყოს საზოგადოებრივი წესრიგისა და უსაფრთხოების წესის განათლების ,მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროსთან შეთანხმება. |

[2] გარდა მეორე სტანდარტის ნაწილობრივი შესაბამისობისა.

| | | |
|---|---|---|
| | | |
| | | |
| | | |

## V. რჩევები

*გთხოვთ, გადმოიტანოთ არასავალდებულო ხასიათის რჩევები, რომლებიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას შეუძლია გაითვალისწინოს საქმიანობის გასაუმჯობესებლად.*

| *სტანდარტი N3* | სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა | *რჩევა* |
|---|---|---|
| | | |
| | | |
| | | |

***VI. წინა ვიზიტის ფარგლებში გაცემული რეკომენდაციების შესრულების სტატუსი*** *(ასეთის არსებობის შემთხვევაში) ადმინისტრაციული წარმოების ფარგლებიდან გამომდინარე*

## 3. სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა

### 3.1. პერსონალის მართვა

### 3.1.1. სკოლის ორგანიზაციული მოწყობა უზრუნველყოფს დასახული მიზნების მიღწევას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლაში მოქმედი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები მკაფიოდაა განსაზღვრული**

სკოლაში ორგანიზაციული მოწყობა უზრუნველყოფილია მკაფიოდ განსაზღვრული მართვის სტრუქტურით, სტრუქტურული ერთეულების ფუნქციებისა და თანამშრომელთა უფლებამოსილებებისა და პასუხისმგებლობების განაწილებით. სკოლის გენერალური დირექტორის 2024 წლის 19 აგვისტოს №06/01 ბრძანებით დამტკიცებულია სკოლის ორგანიზაციული სტრუქტურა, სტრუქტურული ერთეულების ფუნქციები, თანამშრომელთა სამუშაო აღწერილობები და საშტატო განრიგი (განახლებული რედაქცია – 2026 წლის 21 მაისის №00009404). აღნიშნული დოკუმენტები შესაბამისობაშია გენერალური დირექტორის 2025 წლის 2 აპრილის №00004632 ბრძანებით დამტკიცებულ შპს „ქართულ-ამერიკული საერთაშორისო სკოლა პროგრესის“ ადამიანური რესურსების მართვისა და განვითარების პოლიტიკასთან.ადამიანური რესურსების მართვისა და განვითარების პოლიტიკა ეფუძნება საქმიანობის ფუნქციურ და იერარქიულ განაწილებას, რაც ასახულია სკოლის ორგანიზაციულ სქემაში (ორგანოგრამაში) და ხელმისაწვდომია სკოლის ოფიციალურ ვებგვერდზე. ორგანიზაციული მოწყობისას გათვალისწინებულია დაწესებულების მრავალპროფილური საქმიანობა, კერძოდ, ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამების განხორციელებასთან ერთად პროფესიული საგანმანათლებლო მიმართულების ფუნქციონირება, რაც უზრუნველყოფს მართვის სისტემის შესაბამისობას სკოლის საქმიანობის მასშტაბსა და სპეციფიკასთან.თანამშრომელთა სამუშაო აღწერილობები შემუშავებულია თითოეული პოზიციის ფუნქციური ანალიზის საფუძველზე და განსაზღვრავს თანამშრომლის უფლებამოსილებას, პასუხისმგებლობის ფარგლებს, ანგარიშვალდებულებასა და ფუნქციურ დატვირთვას. სამუშაო აღწერილობა სავალდებულოდ მოიცავს: თანამდებობის დასახელებას, შესაბამის სტრუქტურულ ერთეულს (არსებობის შემთხვევაში), დაქვემდებარებისა და ურთიერთდაქვემდებარების სქემას, პოზიციის მიზანსა და ძირითად ფუნქციებს, სამუშაო პირობებს, საკვალიფიკაციო მოთხოვნებს (განათლება, სამუშაო გამოცდილება, პროფესიული ცოდნა, უნარები და პიროვნული კომპეტენციები),

სავალდებულო სამართლებრივი აქტების ცოდნას, ანგარიშგების ფორმებსა და პერიოდულობას, ასევე ურთიერთჩანაცვლების წესს. თანამშრომლების მიერ სამუშაო აღწერილობის გაცნობა დასტურდება პირადი ხელმოწერით, რაც უზრუნველყოფს მათ ინფორმირებულობასა და პასუხისმგებლობის მკაფიო განსაზღვრას.

### ინდიკატორი 3.1.1.1. დაკმაყოფილებულია

2. **სკოლის სტრუქტურულ ერთეულებს/პირებს შორის ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების განაწილება ხელს უწყობს საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელებას.**

სკოლის სტრუქტურულ ერთეულებს შორის ფუნქციები და პასუხისმგებლობები განაწილებულია საქმიანობის სპეციფიკისა და კომპეტენციების შესაბამისად. ადამიანური რესურსების მართვის პროცესს კოორდინაციას უწევს ადამიანური რესურსების მართვის სამსახური, რომელიც პასუხისმგებელია პერსონალის მართვის, განვითარების, შეფასებისა და მხარდაჭერის პროცესების განხორციელებაზე. სკოლას შემუშავებული აქვს ადამიანური რესურსების მართვისა და განვითარების პოლიტიკა. სკოლის სტრუქტურული ერთეულების ფუნქციების ანალიზის შედეგად დადგინდა, რომ პოზიციებზე დასაქმებულთა უფლებამოსილებები მკვეთრად გამიჯნულია და დელეგირებულია ისე, რომ არ ხდება მოვალეობების გადაკვეთა ან დუბლირება. აღნიშნული მიდგომა ხელს უწყობს საგანმანათლებლო და ადმინისტრაციული პროცესების ეფექტიან მართვას.

### ინდიკატორი 3.1.1.2. დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

1. სკოლის წესდება;
2. სკოლის გენერალური დირექტორის 2025წლის 02.04..ბრძ N00004632 ბრძანებით დამტკიცებული ,,ადამიანური რესურსების მართვისა და განვითარების პოლიტიკის დოკუმენტი‘‘
3. შპს ქართულ-ამერიკული საერთაშორისო სკოლა პროგრესის სტრუქტურა, სტრუქტურული ერთეულების ფუნქციები და თანამშრომელთა სამუშაო აღწერილობების სტრუქტურულ ერთეულთა პოზიათა ფუნქციები და დაქვემდებარება ბრძანება N 06/ 01. 19.08.2024წ.
4. საშტატო განრიგი 2026წ.21.05N. 00009404
5. მასწავლებელთა საქმიანობის შეფასების პოლიტიკის ანგარიში 2024-2025 სასწ.წელი

### 3.1.2. პერსონალის მართვის პოლიტიკა უზრუნველყოფს სკოლის განვითარებას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **პერსონალის მართვის პროცესები ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების შესაბამისად**

სკოლის გენერალური დირექტორის 2025 წლის 2 აპრილის №00004632 ბრძანებით დამტკიცებულია ადამიანური რესურსების მართვისა და განვითარების პოლიტიკა, რომელიც განსაზღვრავს ადამიანური რესურსების მართვის ძირითად პრინციპებსა და პროცედურებს. დოკუმენტი მოიცავს სკოლის ორგანიზაციული მოწყობის, პერსონალის მოზიდვის, შერჩევის, დასაქმების, განვითარების, შეფასებისა და მართვის პროცესებს. გენერალური დირექტორის 2023 წლის 13 ნოემბრის №02/174 ბრძანებით დამტკიცებულია სკოლის შინაგანაწესი, რომელიც წარმოადგენს შრომითი ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს. შინაგანაწესი შემუშავებულია სკოლის საქმიანობის სპეციფიკის გათვალისწინებით და არეგულირებს როგორც ზოგადი, ისე პროფესიული განათლების მიმართულებით დასაქმებულთა შრომით ურთიერთობებს. დოკუმენტი განსაზღვრავს სამსახურში მიღების წესს, სამუშაოსა და დასვენების რეჟიმს, შრომითი ურთიერთობის შეჩერებისა და შეწყვეტის პირობებს, დასაქმებულთა უფლებებსა და მოვალეობებს, ეთიკის ნორმებს, შვებულების, მივლინების, დისციპლინური პასუხისმგებლობის, მოტივაციისა და შრომის ანაზღაურების წესს. დოკუმენტაციის ანალიზი აჩვენებს, რომ სკოლაში ადამიანური რესურსების მართვის მარეგულირებელი დოკუმენტები უზრუნველყოფს შრომითი ურთიერთობების გამჭვირვალე, თანმიმდევრულ და სამართლებრივ მოთხოვნებთან შესაბამის მართვას.სკოლის მმართველი გუნდი, ადმინისტრაციული პერსონალი და პედაგოგიური შემადგენლობა დაკომპლექტებულია შესაბამისი კვალიფიკაციისა და პროფესიული გამოცდილების მქონე თანამშრომლებით. პედაგოგიური საქმიანობა ხორციელდება სხვადასხვა პროფესიული სტატუსის მქონე მასწავლებლების (მენტორი, წამყვანი, უფროსი, მაძიებელი და მოწვეული) მონაწილეობით. შეფასების შედეგად დგინდება, რომ სკოლა სისტემურად ზრუნავს პერსონალის პროფესიულ განვითარებაზე და უზრუნველყოფს მათი უწყვეტი პროფესიული ზრდის ხელშეწყობას.

ინდიკატორი 3.1.2.1. დაკმაყოფილებულია

2. **სკოლას აქვს საჭიროებებზე დაფუძნებული პრევენციული და ინტერვენციული პერსონალის მართვის პოლიტიკა**

დოკუმენტაციის შესწავლის შედეგად დგინდება, რომ სკოლას შემუშავებული აქვს საჭიროებებზე დაფუძნებული პრევენციული და ინტერვენციული პერსონალის მართვის პოლიტიკა, რომელიც ასახულია ადამიანური რესურსების მართვისა და განვითარების პოლიტიკის II თავში. პოლიტიკა განსაზღვრავს როგორც პერსონალის საჭიროებების პროგნოზირების, ისე ფუნქციური უწყვეტობის უზრუნველყოფის მექანიზმებს. პრევენციული მართვის ფარგლებში სკოლა სისტემურად აფასებს ადამიანური რესურსების საჭიროებას, რაც ეფუძნება საგნობრივი მიმართულებების, საქმიანობის მოცულობისა და ორგანიზაციული საჭიროებების ანალიზს. ადამიანური რესურსების მოთხოვნა განისაზღვრება როგორც მიმდინარე, ისე მოსალოდნელი ცვლილებების გათვალისწინებით, მათ შორის შიდა გადაადგილების, კადრების გადინების, საკანონმდებლო ცვლილებების, ახალი მიზნებისა და ინსტიტუციური გამოწვევების შემთხვევაში. პერსონალის საჭიროების ინიცირება შესაძლებელია როგორც სკოლის აღმასრულებელი დირექტორის, ისე სტრუქტურული ერთეულებისა და კათედრების ხელმძღვანელების მხრიდან, რაც უზრუნველყოფს საჭიროებების დროულ იდენტიფიცირებას. ინტერვენციული მართვის მექანიზმები განსაზღვრულია ადმინისტრაციული პერსონალის სამუშაო აღწერილობებში, სადაც გათვალისწინებულია ურთიერთჩანაცვლების პრინციპი. აღნიშნული პრაქტიკა უზრუნველყოფს ფუნქციების ოპერატიულ დელეგირებას თანამშრომლის დროებითი არყოფნის (შვებულება, მივლინება, ავადმყოფობა და სხვა) შემთხვევაში და ამცირებს ადმინისტრაციული თუ საგანმანათლებლო პროცესების შეფერხების რისკს. წარმოდგენილი მტკიცებულებები ადასტურებს, რომ სკოლაში პერსონალის მართვა ეფუძნება წინასწარ დაგეგმილ პრევენციულ და საჭიროების შემთხვევაში ინტერვენციულ მექანიზმებს, რაც უზრუნველყოფს ადამიანური რესურსების ეფექტიან მართვასა და ინსტიტუციური პროცესების უწყვეტობას.

ინდიკატორი 3.1.2.2.დაკმაყოფილებულია

3. **პერსონალის შერჩევის პოლიტიკა და პროცედურები უზრუნველყოფს პოზიციის შესაბამისი კადრების მოზიდვასა და დასაქმებას ობიექტურობისა და გამჭვირვალეობის პრინციპების დაცვით**

პერსონალის შერჩევის პოლიტიკა და პროცედურები გაწერილია სკოლის ადამიანური რესურსების მართვისა და განვითარების პოლიტიკაში (მეორე თავი). სკოლას დამტკიცებული აქვს საკვალიფიკაციო მოთხოვნები პერსონალის, მასწავლებლებისა და პროფესიული განათლების მასწავლებლებისთვის კანონმდებლობის შესაბამისად. ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა ითვალისწინებს პოზიციის შესაბამისი კვალიფიკაციის კადრების მოზიდვასა და დასაქმებას ობიექტურობისა და

გამჭვირვალობის პრინციპების დაცვით, ხოლო სკოლა საქმიანობას აღნიშნული პოლიტიკის შესაბამისად წარმართავს. აღნიშნულ პროცესებს ხელმძღვანელობს ადამიანური რესურსების სამსახური, რომელიც წარმოდგენილია შესაბამისი კომპეტენციის მქონე კადრებით. **ამასთან, ადგილზე განხორციელებული ვიზიტის ფარგლებში გამოიკვეთა, რომ სკოლის ექიმთან დირექციას შრომითი ხელშეკრულება გაფორმებული ჰქონდა ვაკანსიის საჯარო გამოცხადების გარეშე, რითაც დარღვეულია პერსონალის შერჩევის, პროცესის ობიექტურობის, გამჭვირვალობისა და კონკურენტულობის პრინციპები.**

**სკოლამ წარმოადგინა შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა და შესაბამისობის უზრუნველყოფის აქტივობების შესრულების შესაბამისი მტკიცებულებები:ექიმის შესარჩევი კონკურსის მასალები,ექიმთან გაფორმებული ხელშეკრულება,ვაკანსიის გამოცხადების მტკიცებულება.აღნიშნული გარემოება იძლევა დადებითი შეფასების საფუძველს ,რომ ხარვეზი სრულადაა აღმოფხვრილი და ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

ინდიკატორი 3.1.2.3. დაკმაყოფილებულია

4. **პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობასა და დაწესებულების მიერ დადგენილ საკვალიფიკაციო მოთხოვნებს**

დოკუმენტაციისა და პერსონალური საქმეების შესწავლის შედეგად დგინდება, რომ სკოლის ადამიანური რესურსების მართვისა და განვითარების პოლიტიკა, ასევე თანამშრომელთა სამუშაო აღწერილობები, თითოეული პოზიციისთვის განსაზღვრავს შესაბამის საკვალიფიკაციო მოთხოვნებს. მასწავლებელთა მიმართ დადგენილი მოთხოვნები შესაბამისობაშია მასწავლებლის საქმიანობის დაწყებისა და შეწყვეტის წესთან, ასევე მასწავლებლის პროფესიული სტანდარტით განსაზღვრულ მოთხოვნებთან.

Emis- ის ამონაწერისა და პერსონალის პირადი საქმეების შესწავლის შედეგად დადგინდა, რომ სკოლაში დასაქმებულია 45 მასწავლებელი, მათ შორის - 5 წამყვანი, 3 მოწვეული და 37 უფროსი სტატუსის მქონე პედაგოგი. თითოეული მასწავლებლის პირად საქმეში წარმოდგენილია პროფესიული სტატუსისა და კვალიფიკაციის დამადასტურებელი სერტიფიკატები, ასევე დოკუმენტები, რომლებიც ადასტურებს მათ მიერ სხვადასხვა პროფესიული განვითარების ტრენინგისა და კურსის გავლას.

გარდა ამისა, ყველა პირად საქმეში დაცულია ცნობები იმის შესახებ, რომ თანამშრომლებს არ აქვთ ნასამართლეობა და არ ჩაუდენიათ სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაული.

ინდიკატორი 3.1.2.4.დაკმაყოფილებულია.

5. **პერსონალის მართვის პოლიტიკა და ორგანიზაციული კულტურა ეფუძნება მონაწილეობითი და გუნდური მუშაობის პრინციპებს.**

დოკუმენტაციის, ინტერვიუებისა და წარმოდგენილი მტკიცებულებების ანალიზის საფუძველზე დგინდება, რომ სკოლის პერსონალის მართვის პოლიტიკა და ორგანიზაციული კულტურა ეფუძნება მონაწილეობითი მმართველობისა და გუნდური მუშაობის პრინციპებს. თანამშრომელთა ჩართულობა უზრუნველყოფილია როგორც გადაწყვეტილებების მიღების პროცესში, ისე სხვადასხვა სამუშაო ჯგუფის, კათედრებისა და სტრუქტურული ერთეულების საქმიანობაში. სკოლაში შექმნილია თანამშრომლობასა და პროფესიული გამოცდილების გაზიარებაზე ორიენტირებული სამუშაო გარემო, რომელიც ხელს უწყობს ეფექტიან კომუნიკაციას, პასუხისმგებლობების გაზიარებასა და საერთო მიზნების მიღწევას. ფუნქციების განაწილება, სტრუქტურულ ერთეულებს შორის კოორდინაცია და კოლეგიური თანამშრომლობის პრაქტიკა უზრუნველყოფს ორგანიზაციული პროცესების ეფექტიან მართვასა და უწყვეტობას. დირექციასა და მასწავლებლებთან გასაუბრებამ აჩვენა, რომ ისინი ხშირად ესწრებიან კოლეგების გაკვეთილებს, აზიარებენ პროფესიულ გამოცდილებას და აძლევენ კონსტრუქციულ რეკომენდაციებს, რაც ხელს უწყობს სწავლების ხარისხის ამაღლებასა და კოლეგიალური სწავლების კულტურის ჩამოყალიბებას.

ინდიკატორი 3.1.2.5. დაკმაყოფილებულია

6. **სკოლას აქვს წარმატებული გამოცდილების აღიარებისა და გაზიარების მექანიზმი**

სკოლის ადამიანური რესურსების მართვისა და განვითარების პოლიტიკა, ასევე შინაგანაწესი, ითვალისწინებს თანამშრომელთა მოტივაციისა და წახალისების მექანიზმებს. სკოლაში დანერგილია პროფესიული მხარდაჭერისა და წარმატებული პრაქტიკის გაზიარების მრავალფეროვანი ფორმები, მათ შორის სამუშაო შეხვედრები, კონსულტაციები, ტრენინგები და პროფესიული კონფერენციები. სკოლაში ფუნქციონირებს თანამშრომელთა საქმიანობის შეფასების 360-გრადუსიანი სისტემა, რომელიც ეფუძნება მრავალმხრივ შეფასებას და აერთიანებს თანამშრომლების, მოსწავლეების, მშობლებისა და ხელმძღვანელი პირების უკუკავშირს, ასევე მასწავლებლის პროფესიული პორტფოლიოს შეფასებას. შეფასების შედეგები გამოიყენება როგორც თანამშრომელთა პროფესიული განვითარების დაგეგმვის, ისე მათი მოტივაციისა და წახალისების მიზნით. წახალისების ფორმად გამოყენებულია როგორც სიგელი, ისე ფულადი ჯილდო.

ინდიკატორი 3.1.2.5. დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

1. სკოლის გენერალური დირექტორის 11.13 .2023წლის ბრძ. N.02/174 დამტკიცებული სკოლის შინაგანაწესი.
2. ადამიანური რესურსების მართვისა და განვითარების პოლიტიკის დოკუმენტი 2025წლის 02.04..ბრძ N00004632
3. ტრენინგების საჭიროების კითხვარი
4. პერსონალის გადამზადების პროგრამა/სილაბუსი
5. პერსონალის მიღების წესი
6. პირადი საქმეები(ნიმუშები);
7. პროგრამა“გახდი პროგრესის მასწავლებლი“ აღწერა.
8. ბრძანება მასწავლებელთა კონკურსის გამოცხადების შესახებ, კონკურსის ოქმი, ეტაპები, ხელშეკრულების შაბლონი
9. Jobs.ge -ასახული ინფორმაცია ვაკანსიის გამოცხადებასთან დაკავშირებით
10. კათედრის დებულება;
11. სტრუქტურა, სამუშაო აღწერილობები
12. პედაგოგთა წახალისების ბრძანება.
13. თანამშრომელთა ხელშეკრულებები;

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

### 3.2. პერსონალის განვითარება

### 3.2.1. ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა ორიენტირებულია პერსონალის განვითარებაზე

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლა აქვს პერსონალის შეფასებასა და პროფესიული განვითარების საჭიროებათა დადგენის მექანიზმები**

დოკუმენტაციის ანალიზისა და სკოლის წარმომადგენლებთან გასაუბრების საფუძველზე დგინდება, რომ სკოლის ადამიანური რესურსების მართვისა და განვითარების პოლიტიკის მესამე თავი სრულად ეთმობა მასწავლებელთა და ადმინისტრაციული პერსონალის პროფესიულ განვითარებას. დოკუმენტი განსაზღვრავს თანამშრომელთა საქმიანობის შეფასების, თვითშეფასებისა და პროფესიული საჭიროებების იდენტიფიცირების პრინციპებსა და მექანიზმებს. სკოლაში შემუშავებულია როგორც მასწავლებელთა, ისე ადმინისტრაციული პერსონალის შეფასებისა და თვითშეფასების მეთოდოლოგია, რომლის საფუძველზეც სისტემატურად ხორციელდება მათი საქმიანობის შეფასება და განვითარების საჭიროებების განსაზღვრა. შეფასების შედეგად გამოიკვეთა, რომ აღნიშნული მიდგომა შესაბამისობაშია სკოლის სტრატეგიული განვითარების გეგმასთან. კერძოდ, სტრატეგიული განვითარების გეგმის მეორე მიზნის ერთ-ერთ ძირითად ამოცანას წარმოადგენს ადამიანური რესურსების პროფესიული განვითარება. ამ ამოცანის განხორციელების მიზნით, სასწავლო წლის ბოლოს სკოლა ატარებს პერსონალის საქმიანობის შეფასებას, საჭიროებათა კვლევასა და მიღებული შედეგების ანალიზს, რომლებიც გამოიყენება პროფესიული განვითარების აქტივობების დაგეგმვისა და თანამშრომელთა კომპეტენციების შემდგომი გაძლიერებისთვის.

ინდიკატორი 3.2.1.1. დაკმაყოფილებულია

2. **პერსონალის განვითარება ხორციელდება გამოვლენილი საჭიროებების საფუძველზე შემუშავებული გეგმის შესაბამისად**

დოკუმენტაციის ანალიზის საფუძველზე დგინდება, რომ სკოლის ადამიანური რესურსების მართვისა და განვითარების პოლიტიკის 26-ე და 27-ე მუხლები არეგულირებს პერსონალის პროფესიული და კარიერული განვითარების პროცესს. დოკუმენტით განსაზღვრულია, რომ პროფესიული განვითარების გეგმები ფორმირდება თანამშრომლის, მისი უშუალო ხელმძღვანელისა და, საჭიროების შემთხვევაში, ადამიანური რესურსების მართვის სამსახურის ერთობლივი

მონაწილეობით, გამოვლენილი პროფესიული საჭიროებების საფუძველზე. შეფასების შედეგად გამოიკვეთა, რომ 2025–2026 სასწავლო წლისთვის სკოლას შემუშავებული ჰქონდა პერსონალის პროფესიული განვითარების გეგმა, რომელიც ეფუძნებოდა თანამშრომელთა შეფასებისა და საჭიროებათა ანალიზის შედეგებს. გეგმით გათვალისწინებული იყო მრავალფეროვანი პროფესიული განვითარების აქტივობები, მათ შორის ტრენინგები, სასწავლო კურსები, მენტორინგი, ქოუჩინგი, ურთიერთგაზიარების შეხვედრები, საერთაშორისო პროფესიული კონფერენციები და გაკვეთილებზე დასწრება.
ინდიკატორი 3.2.1.2. დაკმაყოფილებულია

3. **სკოლა ხელს უწყობს პერსონალის კარიერულ ზრდას**

სკოლა უზრუნველყოფს მასწავლებელთა პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის ხელშეწყობას: სკოლაში დანერგილია თანამშრომელთა საქმიანობის შეფასების 360-გრადუსიანი მოდელი, რომელიც მრავალმხრივ უკუკავშირსა და წინასწარ განსაზღვრულ კრიტერიუმებზე დაყრდნობით უზრუნველყოფს პედაგოგთა საქმიანობის ობიექტურ შეფასებას. შეფასების შედეგები გამოიყენება როგორც პროფესიული განვითარების დაგეგმვის, ისე წარმატებული საქმიანობის წახალისების მიზნით. დოკუმენტაციისა და წარმოდგენილი მტკიცებულებების ანალიზი ადასტურებს, რომ სკოლაში მოქმედებს თანამშრომელთა აღიარებისა და მოტივაციის ეფექტიანი მექანიზმები. მაღალი შედეგების მქონე პედაგოგები ჯილდოვდებიან ფულადი პრემიებითა და სერტიფიკატებით, ხოლო პედაგოგიური საბჭოს ფარგლებში წარმატებული პრაქტიკის აღიარება ხელს უწყობს პროფესიული მოტივაციისა და თანამშრომლობის კულტურის გაძლიერებას.
ინდიკატორი 3.2.1.3. დაკმაყოფილებულია

4. **სკოლა უზრუნველყოფს თანამშრომლების ინტეგრაციას სამუშაო გარემოსთან**

დოკუმენტაციის ანალიზისა და სკოლის წარმომადგენლებთან გასაუბრების საფუძველზე დგინდება, რომ სკოლის ადამიანური რესურსების მართვისა და განვითარების პოლიტიკის 25-ე მუხლი არეგულირებს ახალი თანამშრომლის სამუშაო გარემოსთან ინტეგრაციის პროცესს. პოლიტიკა განსაზღვრავს ადამიანური რესურსების სამსახურისა და უშუალო ხელმძღვანელის პასუხისმგებლობებს, რაც უზრუნველყოფს ახალ თანამშრომელს თანამდებობასთან დაკავშირებული ინფორმაციის, საჭირო რესურსებისა და პროფესიული მხარდაჭერის დროულ მიწოდებას. შეფასების შედეგად გამოიკვეთა, რომ სკოლაში დანერგილია ახალი თანამშრომლების ადაპტაციის ეფექტიანი მექანიზმები. ინტეგრაციის პროცესში, საჭიროების შესაბამისად, ჩართული არიან როგორც უშუალო ხელმძღვანელი, ისე სხვა თანამშრომლები. თანამშრომლის

დასაქმებიდან ერთი თვის შემდეგ ადამიანური რესურსების სამსახური ახორციელებს ადაპტაციის შეფასებას სპეციალურად შემუშავებული კითხვარის საშუალებით, რომლის შედეგები გამოიყენება დამატებითი მხარდაჭერის ღონისძიებების დაგეგმვისთვის. ამასთან, სკოლა წარმატებით ახორციელებს პროექტს „გახდი პროგრესის მასწავლებელი“, რომელიც პედაგოგიური საქმიანობით დაინტერესებულ პირებს სთავაზობს თეორიულ და პრაქტიკულ მომზადებას და ხელს უწყობს მათ შემდგომ დასაქმებას სკოლაში. წარმოდგენილი მტკიცებულებები ადასტურებს, რომ სკოლაში ახალი თანამშრომლების ინტეგრაცია ორგანიზებულია სისტემურად და უზრუნველყოფს მათ ეფექტიან ადაპტაციასა და პროფესიულ განვითარებას.

ინდიკატორი 3.2.1.4. დაკმაყოფილებულია

5. **წახალისებულია პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებული ინიციატივები**

ადამიანური რესურსების მართვისა და განვითარების პოლიტიკის 27-ე მუხლი ითვალისწინებს პერსონალის განვითარების ინიციატივების წახალისებას. ინიციატივების იდენტიფიცირება ხორციელდება როგორც საჭიროებათა კვლევის შედეგების საფუძველზე, ისე თანამშრომელთა მხრიდან უშუალო ინიციატივის ფორმით. პედაგოგთა პროფესიული განვითარების წინადადებები განიხილება საგნობრივ კათედრებზე და წარედგინება შესაბამის ხელმძღვანელ პირებს. შეფასების შედეგად გამოიკვეთა, რომ სკოლაში ინიციატივებზე დაფუძნებული პროფესიული განვითარების პრაქტიკა რეალურად ფუნქციონირებს. კერძოდ, კათედრის ინიციატივით მოწვეული იქნა დარგის სპეციალისტი, რომლის მიერ განხორციელდა 25 პედაგოგის გადამზადება მათემატიკის სადიაგნოსტიკო ტესტების შედგენისა და ანალიზის მიმართულებით. აღნიშნული აქტივობის საფუძველზე სკოლაში დაინერგა სადიაგნოსტიკო ტესტირება I–VI კლასებში.

ინდიკატორი 3.2.1.5. დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

1. ადამიანური რესურსების მართვისა და განვითარების პოლიტიკის დოკუმენტი 2025წლის 02.04. ბრძ N00004632
2. „გახდი პროგრესის მასწავლებელი“ - სტაჟირების პროგრამა;
3. პროფესიული განვითარების გეგმა;
4. პროფესიული განვითარების საჭიროებათა კითხვარი;

5.პერსონალის გადამზადების პროგრამა/სილაბუსი;
6. პერსონალის შეფასების პოლიტიკა;
7. 360 გრადუსიანის შეფასების ანგარიში;
8.კათედრის წევრ მასწავლებელთა სკოლის ბაზაზე პროფესიული განვითარების ინტერვენციები;
9. Follow up - კითხვარი;
10. ბრძანება ფულადი პრემიის გაცემის შესახებ

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

**3.3. პროცესების მართვა**

**3.3.1. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვის პოლიტიკა და პროცედურები ხორციელდება სკოლის მიერ გაცხადებული მისიისა და მიზნების შესაბამისად**

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვა ხორციელდება ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის შესაბამისად და ეფუძნება პროცესულ მიდგომასა და ხარისხის უზრუნველყოფის ციკლს**

დოკუმენტაციის ანალიზის საფუძველზე დგინდება, რომ სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვა თავდაპირველად ხორციელდებოდა გენერალური დირექტორის 2023 წლის 6 სექტემბრის №02/112 ბრძანებით დამტკიცებული ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის შესაბამისად. სკოლაში განხორციელებული საქმიანობის ანალიზის, თვითშეფასებისა და შედეგების შეფასების საფუძველზე, 2026 წლის 19 მაისის №00009259 ბრძანებით განახლდა აღნიშნული პოლიტიკის დოკუმენტი. განახლებული ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკა განსაზღვრავს ხარისხის მართვის პროცესებზე პასუხისმგებელ სტრუქტურულ ერთეულს — ხარისხის მართვის სამსახურს, ასევე აღწერს სკოლაში მიმდინარე პროცესებისა და ქვეპროცესების სისტემას. დოკუმენტით ხარისხის უზრუნველყოფა წარმოდგენილია როგორც ციკლური პროცესი, რომელიც ეფუძნება დემინგის PDCA მოდელს. ასევე განსაზღვრულია მონიტორინგისა და შეფასების ფორმები, განხორციელების ვადები და ანგარიშგების პერიოდულობა, რაც უზრუნველყოფს როგორც შიდა, ისე გარე შეფასების პროცესების სისტემურ და სტრუქტურირებულ განხორციელებას.

### ინდიკატორი 3.3.1.1. დაკმაყოფილებულია

2. **იდენტიფიცირებულია და აღწერილია სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობასთან დაკავშირებული მმართველობითი, ძირითადი და დამხმარე პროცესები**

სასწავლო საქმიანობასთან დაკავშირებული პროცესები ასახულია სკოლის წესდებაში, რომელშიც დეტალურადაა აღწერილი მმართველობითი ფუნქციები, პასუხისმგებლობები და ანგარიშვალდებულება.

ამასთან, შინაგანაწესშიც გაწერილია მმართველობითი პროცედურები, მათ შორის საკადრო საკითხები: შრომითი ურთიერთობების დამყარებისა და შეწყვეტის წესები, თანამშრომლების წახალისების ფორმები და მათი გამოყენების პროცედურები, სამსახურში გამოუცხადებლობის წესები, პერსონალის მატერიალური პასუხისმგებლობა და მასწავლებლის/დამრიგებლის დისციპლინური პასუხისმგებლობის საფუძვლები.

### ინდიკატორი 3.3.1.2. დაკმაყოფილებულია

3. **სკოლაში არსებობს თანამშრომლების, მოსწავლეების/მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების მიერ გადაწყვეტილებების გასაჩივრების, ასევე საჩივრების განხილვის სისტემა**

დოკუმენტაციის ანალიზის საფუძველზე დგინდება, რომ სკოლაში მოქმედებს თანამშრომლების, მოსწავლეების, მშობლებისა და კანონიერი წარმომადგენლების მიერ გადაწყვეტილებების გასაჩივრებისა და საჩივრების განხილვის ფორმალიზებული სისტემა, რომელიც განსაზღვრულია სკოლის შინაგანაწესით.წარმოდგენილი მტკიცებულებების მიხედვით,

სკოლის მიერ გამოცემული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტები (ბრძანებები) მოიცავს გასაჩივრების ვადისა და შესაბამისი ორგანოს შესახებ ინფორმაციას, რაც უზრუნველყოფს პროცესის გამჭვირვალობასა და ინფორმირებულობას. კონკურსის პროცედურების ფარგლებში კანდიდატს აქვს შესაძლებლობა, გაასაჩივროს კომისიისა და დირექტორის გადაწყვეტილება სპეციალურად შექმნილ საპრეტენზიო კომისიაში დადგენილ ვადებში. ასევე დგინდება, რომ დასაქმებულებთან და მშობლებთან გაფორმებული ხელშეკრულებები შეიცავს სადავო საკითხების გასაჩივრების წესს, რაც უზრუნველყოფს დავების გადაწყვეტის ფორმალიზებულ და სტრუქტურირებულ მექანიზმს.

ინდიკატორი 3.3.1.3. დაკმაყოფილებულია

4. **სკოლაში მოქმედებს პერსონალის და მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლებების დაცვის მექანიზმები**

სკოლის შინაგანაწესით განსაზღვრულია პერსონალისა და მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის უფლებების დაცვის მექანიზმები. სკოლაში უზრუნველყოფილია თანამშრომელთა და მშობელთა თანაბარი პირობებით სარგებლობა სკოლის ტერიტორიაზე და სასკოლო პროცესებში, დისკრიმინაციის გარეშე და დადგენილი წესების შესაბამისად. წარმოდგენილი მტკიცებულებების მიხედვით, დასაქმებულებთან და მშობლებთან გაფორმებულ ხელშეკრულებებში დეტალურად არის განსაზღვრული მხარეთა უფლება-მოვალეობები, რაც უზრუნველყოფს ურთიერთობების სამართლებრივ და გამჭვირვალე რეგულირებას. თანამშრომელთა ინფორმირება მათი უფლებებისა და ვალდებულებების შესახებ ხორციელდება სამუშაო აღწერილობებისა და ხელშეკრულების გაცნობის ეტაპზე. ასევე დგინდება, რომ სკოლას შემუშავებული აქვს მშობლებთან ურთიერთობის დებულება, რომელიც განსაზღვრავს სკოლისა და მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების კომუნიკაციის ფორმებსა და მხარეთა პასუხისმგებლობებს. დამატებით, სკოლაში ფუნქციონირებს მშობელთა წარმომადგენლობითი ორგანო — მშობელთა ასოციაცია, რომელიც უზრუნველყოფს მშობელთა ჩართულობას სასკოლო ცხოვრებაში. **სკოლას მიეცა რჩევა, შექმნას დოკუმენტი, რომელშიც ასახავს მშობელთა ასოციაციის მიერ განხორციელებულ საქმიანობას.**

**სკოლამ გაითვალისწინა რჩევა და წარმოადგინა შესაბამისი მტკიცებულებები: მშობელთა ასოციაციის დებულება,რომელიც განსაზღვრავს ასოციაციის მიზნებს,ფუნქციებს,საქმიანობის მიმართულებებსა და პასუხისმგებლობებს;მშობელთა ასოციაციის მიერ შემუშავებული სამოქმედო გეგმა.**

ინდიკატორი 3.3.1.4. დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

1. ,,ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკა''. ბრძანება. №00009259 19.05 .2026წ
2. სკოლის შინაგანაწესი;
3. მშობელთა ასოციაცის დებულება, ბრძანება 21/05/2026. № 00009444
4. მშობელთან ურთიერთობის დებულება ბრძანება 02/108 .05/09 2023წ
5. ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა
6. თანამშრომელთან და მოსწავლეთა მშობელთან გაფორმებული ხელშეკრულებები;
7. საჩივრებისა და განცხადებების განხილვის წესი-პროგრესი;
8. დამრიგებლის დებულება

**3.3.2. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვაში უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების ჩართულობა**

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლას აქვს მართვის პროცესებთან დაკავშირებით სასკოლო საზოგადოების ინფორმირების, უკუკავშირის მიღების და მასზე რეაგირების მექანიზმები**

წარმოდგენილი მტკიცებულებების ანალიზია და სკოლის წარმომადგენლებთან გასაუბრების საფუძველზე დგინდება, რომ სკოლის ორგანიზაციული მოწყობა, კომისიებისა და სამუშაო ჯგუფების ფუნქციონირება უზრუნველყოფს სასკოლო საზოგადოების ჩართულობას მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებების მიღების პროცესში. სკოლაში შექმნილია თანამშრომლობითი გარემო, რომელიც ხელს უწყობს მშობლების, ადმინისტრაციისა და პედაგოგების ეფექტიან ურთიერთქმედებას. სასწავლო წლის დასაწყისში კლასის დამრიგებლების მიერ მშობლებს მიეწოდებათ ინფორმაცია შინაგანაწესის, მოსწავლის ქცევის კოდექსის, სასწავლო გეგმის, შეფასების სისტემისა და დაგეგმილი აქტივობების შესახებ, რაც უზრუნველყოფს მშობლების ინფორმირებულობასა და ჩართულობას. შეფასების შედეგად იკვეთება, რომ სკოლაში ფუნქციონირებს მშობელთა ასოციაცია, რომლის შეხვედრების ფარგლებში მშობლები ახდენენ უკუკავშირის მიწოდებას და

მონაწილეობენ სასკოლო გარემოს გაუმჯობესების პროცესში. დამატებით, სკოლა იყენებს ინფორმაციის გავრცელების მრავალარხიან სისტემას (ვებგვერდი, სოციალური ქსელები, საინფორმაციო დაფა), რაც უზრუნველყოფს სასკოლო ცხოვრების შესახებ ინფორმაციის ხელმისაწვდომობას. ასევე დგინდება, რომ სკოლა სისტემურად ახორციელებს სასკოლო საზოგადოების გამოკითხვებს, რომელთა შედეგების ანალიზი გამოიყენება პრობლემების იდენტიფიცირებისა და გაუმჯობესების ღონისძიებების დაგეგმვისთვის.

ინდიკატორი 3.3.2.1. დაკმაყოფილებულია

2. **უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების წევრების სასკოლო ცხოვრებაში/მართვის კოლეგიალურ ორგანოებში ჩართულობა**

წარმოდგენილი მტკიცებულებების ანალიზის საფუძველზე დგინდება, რომ სკოლაში შექმნილია სასკოლო საზოგადოების ჩართულობის ეფექტიანი მექანიზმები, რომლებიც უზრუნველყოფს კოლეგიურ მმართველობასა და გადაწყვეტილებების მიღების პროცესში სხვადასხვა დაინტერესებული მხარის მონაწილეობას. შეფასების შედეგად გამოიკვეთა, რომ პედაგოგიური საბჭო აქტიურად მონაწილეობს სკოლის სტრატეგიული განვითარების, ერთწლიანი სამოქმედო გეგმის, სასკოლო სასწავლო გეგმისა და სხვა მნიშვნელოვანი დოკუმენტების განხილვასა და შემუშავებაში. საგნობრივი კათედრები უზრუნველყოფენ სასწავლო პროცესის ხარისხის გაუმჯობესებას სახელმძღვანელოების შერჩევის, სასწავლო რესურსების შეფასების, ურთიერთდასწრებისა და სწავლების შედეგების ანალიზის გზით. სკოლაში ფუნქციონირებს მოსწავლეთა თვითმმართველობა, რომელიც მონაწილეობს სასკოლო ღონისძიებებისა და პროექტების დაგეგმვასა და განხორციელებაში, ხოლო მშობელთა ასოციაცია უზრუნველყოფს მშობლების სისტემურ ჩართულობას სასკოლო ცხოვრებასა და სკოლის განვითარების ინიციატივებში.დოკუმენტაციის ანალიზი ასევე ადასტურებს, რომ სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეებისთვის ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავება ხორციელდება მულტიდისციპლინური სამუშაო ჯგუფის მიერ, რომელშიც ჩართული არიან შესაბამისი სპეციალისტები და მოსწავლის მშობელი. აღნიშნული პროცესი რეგულირდება სკოლაში დამტკიცებული ინკლუზიური განათლების დებულებითა და შიდა მონიტორინგის წესით.

ინდიკატორი 3.3.2.2. დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

1. დამრიგებლის დებულება, ბრძანება 02/106.05.09.2023;
2. კათედრის დებულება, ბრძანება 02/105.05.09.2023
3. ინკლუზიური განათლების დებულების, სამოქმედო გეგმისა და პროცესის შიდა მონიტორინგის წესი, ბრძანება 02/111/05.09.2023წ;
4. პედსაბჭოს დებულება, ბრძანება 02/103 .05.09.2023;
5. მშობელთა ასოციაციის დებულება, ბრძანება 21/05/2026 № 00009444;
6. მოსწავლეთა თვითმართველობის დებულება.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

**3.4. ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოება**

**3.4.1. სკოლაში დაცულია ადამიანების უსაფრთხოება და უზრუნველყოფილია ბიზნეს პროცესების უწყვეტობა**

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, რისთვისაც არსებობს: ფიზიკური უსაფრთხოების დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმი, უფლებამოსილ ორგანოსთან/პირთან შეთანხმებული საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა, სკოლის მიმართვა უფლებამოსილ უწყებასთან შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ, უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნა**

სკოლის ახალი ფართის ვიზუალური დათვალიერებისას გამოიკვეთა, რომ დასასრულს უახლოვდება სკოლის ტერიტორიის სამეთვალყურეო ვიდეოკამერებით აღჭურვისა და სახანძრო უსაფრთხოების სისტემის მოწყობის პროცესი. სკოლას ჰყავს უსაფრთხოებასა და წესრიგის დაცვაზე პასუხისმგებელი სამსახური. გაფორმებულია მომსახურების ხელშეკრულება კომპანია ,,ჯეო სეიფტისთან" , რომელიც გამოყოფს სკოლისთვის შრომის უსაფრთხოების 1 სერტიფიცირებულ სპეციალისტს. **სკოლას ექსპერტების ვიზიტის ფარგლებში არ ჰქონდა უფლებამოსილ ორგანოსთან/პირთან შეთანხმებული საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა, სკოლის მიმართვა უფლებამოსილ უწყებასთან შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ, უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნა. სკოლამ წარმოადგინა შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა და შესაბამისობის უზრუნველყოფის აქტივობების შესრულების შესაბამისი მტკიცებულებები: უფლებამოსილ ორგანოსთან/პირთან შეთანხმებული საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა, სკოლის მიმართვა უფლებამოსილ უწყებასთან შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ, უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნა.**
**წარმოდგენილი მტკიცებულებები იძლევა დადებითი შეფასების საფუძველს ,რომ ხარვეზი სრულადაა აღმოფხვრილი და ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

**ინდიკატორი 3.4.1.1. დაკმაყოფილებულია**

2. **სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე პირველადი დახმარების აღმოჩენას**

სკოლას შემუშავებული აქვს პირველადი გადაუდებელი დახმარების მექანიზმის მარეგულირებელი დოკუმენტი, რომელიც ადგენს სკოლაში სამედიცინო მომსახურების კაბინეტის ფუნქციონირების თავისებურებებს. სკოლის ახალ ფართში გამოყოფილია ოთახი ექიმის კაბინეტის მოსაწყობად, რომელიც უზრუნველყოფილია ბუნებრივი და ხელოვნური განათებით. **თუმცა სივრცე ვიზიტის დროს არ იყო აღჭურვილი პირველადი სამედიცინო დახმარების აღმოჩენისათვის საჭირო ინვენტარით. სკოლამ წარმოადგინა შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა და შესაბამისობის უზრუნველყოფის აქტივობების შესრულების შესაბამისი მტკიცებულებები: ხელშეკრულება ინვენტარის შესყიდვის შესახებ,ინვენტარის მიღება-ჩაბარების აქტი,ექიმის კაბინეტის ფოტომასალა.**

**წარმოდგენილი მტკიცებულები იძლევა დადებითი შეფასების  საფუძველს ,რომ ხარვეზი სრულადაა აღმოფხვრილი და ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

**ინდიკატორი 3.4.1.2.  დაკმაყოფილებულია**

3. **სკოლა უზრუნველყოფს საზოგადოებრივი წესრიგის დაცვას**

სკოლაში წესრიგის დაცვას უზრუნველყოფს უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი სამსახური, უსაფრთხო სკოლის კორდინატორები. დასასრულს უახლოვდება სკოლის ახალი სივრცის  სამეთვალყურეო ვიდეოკამერებით აღჭურვისა და სახანძრო უსაფრთხოების სისტემის მოწყობის პროცესი.  სკოლის წარმომადგენლებთან გასაუბრებისას გამოიკვეთა, რომ წესრიგის დაცვისა და პრევენცის მიზნით სკოლა წლის მანძილზე მიზნობრივად ატარებს საგანმანათლებლო საინფორმაციო შეხვედრებს მოსწავლეების, თანამშრომლებისა და მშობლებისათვის/კანონიერი წარმომადგენლებისთვის. სკოლის უსაფრთხოების უზრუნველყოფა ხორციელდება მრავალსაფეხურიანი სისტემით: არასასწავლო პერიოდში სკოლის შენობის დაცვას ცვლიანობის გრაფიკის შესაბამისად უზრუნველყოფს სამი დარაჯი, ხოლო სასწავლო პროცესის მიმდინარეობისას უსაფრთხოებაზე პასუხისმგებლები არიან  უსაფრთხო სკოლის 3 კოორდინატორი და მორიგე მასწავლებლები. გარდა ამისა, სკოლა სარგებლობს არასაუწყებო დაცვის მომსახურებით. სკოლის ტერიტორიაზე საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის მიზნით შეზღუდულია გარეშე პირთა გადაადგილება, ხოლო მათი დაშვება შესაძლებელია მხოლოდ დირექტორთან შეთანხმებით. შემომსვლელთა კონტროლს ახორციელებს უფლებამოსილი პირი, ხოლო პირადი გასინჯვის უფლებამოსილი პირი განსაზღვრულია დირექტორის ინდივიდუალური სამართლებრივი აქტით. საკლასო ოთახებში წესრიგისა და უსაფრთხოების დაცვაზე პასუხისმგებელნი არიან საგნის მასწავლებლები, ხოლო შესვენებების დროს მოსწავლეთა ზედამხედველობასა და ქცევის წესების დაცვას უზრუნველყოფენ კლასის დამრიგებლები/ტუტორები. **სკოლას შემუშავებული აქვს საზოგადოებრივი წესრიგისა და უსაფრთხოების წესი, თუმცა აღნიშნული წესი არაა შეთანხმებული  განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროსთან. სკოლამ წარმოადგინა შესაბამისობის უზრუნველყოფის  გეგმა ,რომლითაც განსაზღვრა ხარვეზის აღმოფხვრის ვადები,პასუხისმგებელი პირები და შესაბამისობის უზრუნველყოფის აქტივობა-12.11.2025-31.12..2026 პერიოდში საზოგადოებრივი წესრიგისა და უსაფრთხოების წესის განათლების ,მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროსთან შეთანხმება.**

**ინდიკატორი 3.4.1.3 მეტწილი**

4. **სკოლა უზრუნველყოფს ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო სასკოლო გარემოს**

სკოლა უზრუნველყოფს ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო სასწავლო გარემოს შექმნას, რაც ხელს უწყობს მოსწავლეთა კეთილდღეობას, პიროვნულ განვითარებასა და ინკლუზიური კულტურის დამკვიდრებას. მოსწავლეებისთვის ხელმისაწვდომია ფსიქოლოგიური მხარდაჭერის სერვისი, რომელიც მოიცავს ინდივიდუალურ და ჯგუფურ კონსულტაციებს. სკოლაში დასაქმებულია ორი ფსიქოლოგი და სპეციალური მასწავლებელი. სკოლაში მოქმედებს ბავშვთა მიმართ ძალადობის შიდა ინსტრუქცია და გამოყოფილია ძალადობის იდენტიფიცირებაზე და რეფერალზე პასუხისმგებელი პირი. სკოლაში შექმნილია დირექტორის ბრძანებით 02/11/05.09.2023წ. „ინკლუზიური განათლების სამოქმედო გეგმა, ინკლუზიური განათლების პროცესის შიდა მონიტორინგის წესი“ . ბულინგის პრევენცია და უსაფრთხო სასკოლო გარემოს ხელშეწყობა ასახულია სკოლის სამოქმედო გეგმებში. გარდა ამისა, სასკოლო სასწავლო გეგმით ყველა კლასში გათვალისწინებულია სოციალურ-ემოციური უნარების სწავლება, რომელიც მოსწავლეთა ასაკობრივი და ინდივიდუალური საჭიროებების შესაბამისად ავითარებს მათ სოციალურ, ემოციურ და კომუნიკაციურ კომპეტენციებს. სკოლის ინფრასტრუქტურა - მათ შორის დიდი ეზო, ნათელი და დიდი დერეფნები ხელს შეუწყობს მოსწავლეთა სოციალურ აქტივობას, ურთიერთობების განვითარებასა და ემოციურად უსაფრთხო გარემოს შექმნას.

**ინდიკატორი 3.4.1.4 დაკმაყოფილებულია**

5. **სკოლა უზრუნველყოფს სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვას**

სკოლას შემუშავებული აქვს სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვის მექანიზმები. ახალ ფართზე სკოლას საშტატო განრიგით გათვალისწინებული აქვს 6 დიასახლისის დასაქმება, რომლებიც უზრუნველყოფენ შენობის შიდა და გარე პერიმეტრის, სანიტარული კვანძების სტანდარტის შესაბამისად დასუფთავებას. სკოლის სამივე სართულზე ცალ-ცალკე მოწყობილია სველი წერტილები გოგონებისა და ვაჟებისთვის, ასევე გათვალისწინებულია ერთი ადაპტირებული სველი წერტილი პირველ სართულზე. **ვინაიდან სკოლაში ვიზიტის პროცესში სარეაბილიტაციო სამუშაოები დასასრულს**

**უახლოვდებოდა, სველი წერტილები არ იყო მომარაგებული თხევადი საპნითა და ჰიგიენური საშუალებებით, სკოლას მიეცა რჩევა აღნიშნული გარემოების გამოსასწორებლად.**

**სკოლამ გაითვალისწინა რჩევა და წარმოადგინა შესაბამისი მტკიცებულებები.**

**ინდიკატორი 3.4.1.5 დაკმაყოფილებულია**

6. **სკოლა უზრუნველყოფს პერსონალური მონაცემების დაცვას**

სკოლაში პერსონალური მონაცემების დამუშავება ხორციელდება ,,პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ" საქართველოს კანონის მოთხოვნების შესაბამისად. შემუშავებული და დამტკიცებულია პერსონალურ მონაცემთა დაცვისა და მონიტორინგის მექანიზმების წესი, რომელიც განსაზღვრავს მონაცემთა დამუშავების პრინციპებს, პროცედურებსა და მონაცემთა სუბიექტების უფლებების დაცვის მექანიზმებს. მოსწავლეთა და თანამშრომელთა პირადი საქმეები ინახება უსაფრთხო სივრცეში, ხოლო მათ დაცვასა და დამუშავებაზე პასუხისმგებელი პირები განსაზღვრული არიან ფუნქციური მოვალეობების შესაბამისად. პერსონალური მონაცემების გაცემა ხორციელდება მხოლოდ კანონმდებლობითა და სკოლის შიდა რეგულაციებით დადგენილი წესით. სკოლას ჰყავს პერსონალურ მონაცემთა დაცვის ოფიცერი, რომლის შესახებ ინფორმაცია წარდგენილია პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურში. ამასთან, სკოლას გაფორმებული აქვს მომსახურების ხელშეკრულება შესაბამის სპეციალიზებულ ორგანიზაციასთან (,,ჯეოსეიფტთან"), რაც უზრუნველყოფს პერსონალურ მონაცემთა დაცვის სფეროში კანონმდებლობის მოთხოვნების შესრულების მხარდაჭერას.

**ინდიკატორი 3.4.1.6 დაკმაყოფილებულია**

7. **სკოლას გააჩნია მის ხელთ არსებული ინფორმაციის დაცვის მექანიზმები**

სკოლაში შემუშავებულია ინფორმაციის დაცვის მექანიზმები, რომლებიც არეგულირებს დაწესებულებაში არსებული მონაცემებისა და ინფორმაციული სისტემების უსაფრთხო მართვას. განსაზღვრულია ინფორმაციის დაცვასა და ადმინისტრირებაზე პასუხისმგებელი პირები, ასევე თანამშრომელთა უფლებამოსილებები ინფორმაციულ რესურსებზე წვდომის ნაწილში. შიდა რეგულაციებით განსაზღვრულია ელექტრონულ ჟურნალზე, EMIS-ის ელექტრონულ ბაზაზე, მოსწავლეთა და თანამშრომელთა პირად საქმეებზე, აგრეთვე შენობაში დაშვების სისტემაზე წვდომის უფლებამოსილი პირები.

ინფორმაციის დამუშავება და მასზე წვდომა ხორციელდება ფუნქციური საჭიროებისა და უფლებამოსილების პრინციპის შესაბამისად, ინდივიდუალური მომხმარებლისა და პაროლის გამოყენებით. სკოლაში განსაზღვრულია ასევე პერსონალურ მონაცემთა დაცვის მონიტორინგზე პასუხისმგებელი პირი, რომელიც უზრუნველყოფს ინფორმაციის დაცვის შიდა მექანიზმების შესრულების ზედამხედველობას.

**ინდიკატორი 3.4.1.7 დაკმაყოფილებულია**

8. **სკოლა ახორციელებს ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების მექანიზმების ფუნქციონირების პერიოდულ შეფასებას და შეფასების შედეგებს იყენებს აღნიშნული მექანიზმების გაუმჯობესებისთვის**

სკოლის მიერ წარმოდგენილ ,,პერსონალურ მონაცემთა დაცვის წესსა და მონიტორინგის მექანიზმებში“ გაწერილია დასაქმებულთა/მოსწავლეთა, პერსონალურ მონაცემთა დაცვის მონიტორინგის მექანიზმები, რომლის მიხედვითაც უფლებამოსილი პირის მიერ მონაცემთა კანონიერი დამუშავების უზრუნველყოფის მიზნით, განხორციელდება მისი საქმიანობის პერიოდული მონიტორინგი.

**ინდიკატორი 3.4.1.8 დაკმაყოფილებულია**

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

1. ჯეოსეფტთან გაფორმებული ხელშეკრულება
2. შრომის უსაფრთხოების უზრუნველყოფასთან დაკავშირებით დოკუმენტაცია
3. პირველადი გადაუდებელი დახმარების, სკოლის სამედიცინო მომსახურების კაბინეტის ფუნქციონირების წესი ბრძანება 02/195.21.12.2023წ
4. უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის დოკუმენტი
5. აიტის ხელშეკრულება, ფუნქცია სამუშაო აღწერილება;

6. ინკლუზიური განათლების დებულების, სამოქმედო გეგმის და პროცესის შიდა მონიტორინგის წესი ბრძანება 02/111/05.09.2023წ

7. ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის დოკუმენტი

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☐ შეესაბამება

☒ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

**3.5. მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა**

**3.5.1. სკოლის მატერიალური რესურსი და ინფრასტრუქტურა გამოიყენება დაწესებულების მისიით განსაზღვრული მიზნების მისაღწევად და შეესაბამება არსებულ და/ან დაგეგმილ მოსწავლეთა რაოდენობას**

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო საქმიანობისთვის შესაბამის ინფრასტრუქტურასა და მატერიალურ რესურსს მინიმუმ ავტორიზაციის ვადითა და დადგენილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით**

შპს.ქართულ-ამერიკული საერთაშორისო სკოლა პროგრესი (ს/კ 212807550) რეგისტრირებულია მისამართზე ქ. ქუთაისი.აღმაშენებლის გ.N.20. ამ ეტაპზე სკოლა იმატებს ფართს ზ.ანჯაფარიძის ქუჩაზე N120. ერთი მხრივ, შპს "იბერია სტარ გრუპი" (ს/ნ 412701697) წარმოდგენილი მისი დირექტორის - დავითი კოსტავას (პ.ნ.60001001133 ) მიერ (შემდგომში მოხსენიებული, როგორც „მეიჯარე") და მეორე მხრივ, შპს ქართულ ამერიკული საერთაშორისო სკოლა პროგრესი(ს.ნ.212807550) წარმოდგენილი მისი დირექტორის ნინო ჩიკვაშვილს პ.ნ.60002000729 შორის (შემდგომში მოხსენიებული, როგორც „მოიჯარე"), დადებულია საიჯარო ხელშეკრულება მისამართზე: ქ. ქუთაისი, ზურაბ ანჯაფარიძის ქუჩა #120, შემდეგ შენობა ნაგებობაზე: ნაკვეთის დანიშნულება: არასასოფლო სამეურნეო; დაზუსტებული ფართობი 6259.00

კვ.მ; ნაკვეთის წინა ნომერი 03.04.07.196; ზონა (ქუთაისი) 03; სექტორი (მუზეუმი) 04; კვარტალი 32; ნაკვეთი 238; შენობა ნაგებობის ჩამონათვალი: N 1 საერთო ფართით 3129.43 კვ.მ (მათ შორის I სართული ფართით 1095.93 კვ.მ.; II სართული ფართით 967.65 კვ.მ.; III სართული ფართით 532.94 კვ.მ.; IV სართული ფართით 532.90 კვ.მ.) N2 საერთო ფართით 14.96 კვ.მ. სკოლას აქვს 27/30 საკლასო ოთახი. თითოეულ საკლასო ოთახში განთავსებული იქნება საჭირო რაოდენობის ინდივიდუალური მოსწავლის მერხი და სკამი, თითოეულ საკლასო ოთახში შესაძლებელია განთავსდეს 18± 3 მოსწავლე (საშუალო, მინიმალური კვ.მ 31-33). ასევე აღიჭურვება შესაბამისი ინვენტარით. მონიტორებით, უწყვეტი ინტერნეტით არსებული რესურსით უზრუნველყოფილი იქნება სკოლის მიერ განსაზღვრული მოსწავლეთა ზღვრული რაოდენობა. სკოლაში გათვალიწინებულია კომპიუტერული ლაბორატორია, რომელიც განკუთვნილია მოსწავლეებისთვის და პედაგოგებისთვის. კომპიუტერულ ლაბორატორიაში განთავსდება 20 პერსონალური კომპიუტერი, ლაბორატორიებში მუშაობა შესაძლებელი იქნება MS Window სისტემასთან. ლაბორატორია აღიჭურვება თანამედროვე სამაგიდე კომპიუტერებით (Desktop Computers). პირველ სართულზე გამოყოფილია სივრცეები კაფეტერიისთვის, სპორტული დარბაზისთვის, ექიმის კაბინეტისა  და უსაფრთხოებისა და კომუნიკაციების სამსახურისათვის.მეორე სართულზე განთავსებულია სააქტო დარბაზი, საკლასო ოთახები, ბიბლიოთეკა და სამაწავლებლო. ასევე ოთხი სველი წერტილი - ცალ-ცალკე გოგონებისა და ვაჟებისათვის. ყველა სართულზე, მათ შორის მესამე და მეოთხე სართულებზე საკლასო სივრცეებთან ერთად განთავსებულია ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალის ოთახები და დამატებით ექვსი სველი წერილი. სკოლა სრულად არის ადაპტირებული სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების პირებისათვის. სკოლაში არის ლიფტი. სკოლის გარე სივრცე სრულად უზრუნველყოფს მოსწავლეთა დასვენებისა და შემოქმედებითი აქტივობისათვის აუცილებელ პირობებს. სკოლას აქვს კეთილმოწყობილი ეზო და ასევე დაგეგმილია გარე სტადიონის მშენებლობა სპეციალურად გამოყოფილ ფართზე. სკოლის გარეთ (იზოლირებულად) გათვალისწინებულია გათბობისთვის განკუთვნილი შენობის დადგმა, თავისი საქვაბე მოწყობილობით. **მიუხედავად სკოლის მიერ დეკლარირებული გეგმებისა და ადმინისტრაციის ზეპირი განმარტებებისა, რომლის მიხედვითაც საჭირო მატერიალურ-ტექნიკური ინვენტარი მოპოვებულია, ექსპერტთა ჯგუფის მიერ ადგილზე განხორციელებული ვიზუალური დათვალიერების მომენტში, ზურაბ ანჯაფარიძის ქუჩა N120-ში მდებარე შენობაში მიმდინარეობდა აქტიური სარეაბილიტაციო/სარემონტო სამუშაოები. ვინაიდან ვიზიტის პერიოდში სასწავლო, სამეცნიერო და დამხმარე სივრცეები ფიზიკურად არ იყო დასრულებული, ხოლო ტექნიკა და ინვენტარი არ იყო განთავსებული შესაბამის ოთახებში, შეუძლებელი გახდა მათი რეალური ხელმისაწვდომობის, უსაფრთხოებისა და სტანდარტებთან თავსებადობის ვერიფიკაცია. ყოველივე აღნიშნულიდან გამომდინარე, შეფასების მომენტში არსებული ფაქტობრივი მდგომარეობით, სკოლის ინფრასტრუქტურა და მატერიალური რესურსი  მოცემულ ეტაპზე არ შეესაბამებოდა ინდიკატორის მოთხოვნებს.**

**სკოლამ წარმოადგინა შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა და შესაბამისობის უზრუნველყოფის აქტივობების შესრულების შესაბამისი მტკიცებულებები:სასწავლო-სააღმზრდელო პროცესის განხორციელებისთვის შექმნილი უსაფრთხო, ფუნქციური და სტანდარტებთან შესაბამისი გარემოს ამსახველი ფოტომასალა,ინვენტარის შესყიდვის დოკუმენტაცია. წარმოდგენილი მტკიცებულები იძლევა დადებითი შეფასების საფუძველს ,რომ ხარვეზი სრულადაა აღმოფხვრილი და ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

### ინდიკატორი 3.5.1.1. დაკმაყოფილებულია

2. **დაწესებულების ინფრასტრუქტურა, მათ შორის საერთო სარგებლობის სივრცეები და მატერიალური რესურსი ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოების წევრებისთვის**

ქართულ-ამერიკული საერთაშორისო სკოლა პროგრესის ინფრასტრუქტურა, ტექნიკური აღჭურვილობა და სასწავლო მასალის და რესურსების ხელმისაწვდომობა იძლევა საუკეთესო განათლების მიღების შესაძლებლობას. დაწესებულების ინფრასტრუქტურა, მათ შორის საერთო სარგებლობის სივრცეები და მატერიალური რესურსი ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოების წევრებისთვის და იძლევა სხვადასხვა აქტივობების და სრულფასოვანი დასვენების საშუალებას. სკოლას ექნება სპორტული დარბაზი, დასასვენებელი სივრცე - სივრცე სპორტულ/შემოქმედებითი საქმიანობისთვის. საბიბლიოთეკო, საინფორმაციო სივრცეები, სამედიცინო კაბინეტი, კვებითი ბლოკი, (კვება უზრუნველყოფილი იქნება მომსახურეობის ხელშეკრულების ფარგლებში) ლაბორატორიები, ადმინისტრაციული სივრცე. სკოლას შემუშავებული აქვს ლაბორატორიებით სარგებლობის წესი და ასევე შინაგანაწესით განსაზღვრულია სხვა მატერიალური რესურსით სარგებლობის შესაძლებლობა. სკოლა გეგმავს დაწყებითი საფეხურის მოსწავლეებისათვის შექმნას კურიკულუმთან თავსებადი ლაბორატორია, სადაც მოსწავლეებს საშუალება ექნებათ ტექნოლოგიების გამოყენებით იკვლიონ, დააკვირდნენ და აღმოაჩინონ. სკოლას დოკუმენტურად განსაზღვრული აქვს მატერიალური რესურსითა და ლაბორატორიით სარგებლობის წესები. **აღნიშნულ მისამართზე ვიზიტის მომენტში მიმდინარეობს აქტიური სამშენებლო/სარეაბილიტაციო სამუშაოები,რის გამოც ზემოთ ჩამოთვლილი საერთო სარგებლობის სივრცეები: სპორტული დარბაზი, დასასვენებელი, საბიბლიოთეკო და საინფორმაციო სივრცეები, სამედიცინო კაბინეტი და კვების ბლოკი ფიზიკურად არ არის მოწყობილი, ფუნქციურად გამართული. შესაბამისად, შეფასების მომენტში, აღნიშნული ინფრასტრუქტურა და მატერიალური რესურსი არ იყო რეალურად ხელმისაწვდომი სასკოლო საზოგადოების წევრებისთვის, რის გამოც მოცემულ ეტაპზე აღნიშნული კომპონენტი არ შეესაბამებოდა ინდიკატორის მოთხოვნებს.**

**სკოლამ წარმოადგინა შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა და შესაბამისობის უზრუნველყოფის აქტივობების შესრულების შესაბამისი მტკიცებულებები: საერთო სარგებლობის სივრცეებისა(სპორტული დარბაზი, დასასვენებელი, საბიბლიოთეკო და საინფორმაციო სივრცეები, სამედიცინო კაბინეტი და კვების ბლოკი) და მატერიალური რესურსის ამსახველი ფოტომასალა, ინვენტარის შესყიდვის დოკუმენტაცია. წარმოდგენილი მტკიცებულები იძლევა დადებითი შეფასების საფუძველს ,რომ ხარვეზი სრულადაა აღმოფხვრილი და ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

ინდიკატორი 3.5.1.2. დაკმაყოფილებულია.

3. **სკოლა უზრუნველყოფს საბიბლიოთეკო სერვისების მიწოდებას მის მიერ დადგენილი წესის მიხედვით**

სკოლის საშტატო განრიგით გათვალისწინებულია ბიბლიოთეკის სტრუქტურული ერთეული. სკოლის გენერალური დირექტორის ბრძანებით დამტკიცებულია ბიბლიოთეკის დებულება. ბიბლიოთეკის რესურსი დამუშავებულია საბიბლიოთეკო წესის შესაბამისად, მკითხველის უფლებები და მოვალეობები - ბიბლიოთეკის დებულებით. სკოლის ბიბლიოთეკის წიგნადი ფონდი აერთიანებს 17385 წიგნს. წიგნადი ფონდი აღრიცხულია ბიბლიოთეკის საინვენტარო წიგნში, თითოეული წიგნი ანბანის და განყოფილების მიხედვით განლაგებულია თაროებზე. სკოლის ბიბლიოთეკაში ირიცხება სკოლის სახელმძღვანელოები, ქართული და უცხოური ლიტერატურა, სამეცნიერო და დამხმარე ლიტერატურა, პერიოდიკა და სხვა. ბიბლიოთეკის სამუშაო დრო განსაზღვრულია დილის 9 საათიდან საღამოს 5 საათამდე პერიოდით. **მიუხედავად იმისა, რომ სკოლას დოკუმენტურად მოწესრიგებული აქვს ბიბლიოთეკის ფუნქციონირების სამართლებრივი მხარე, განსაზღვრული აქვს წიგნადი ფონდის საინვენტარო ნუსხა (17385 წიგნი) და ელექტრონული კატალოგი, ახალ სასწავლო კორპუსში (ზ. ანჯაფარიძის N120) აღნიშნული რესურსის რეალური ხელმისაწვდომობა ვერ დასტურდება. ექსპერტთა ჯგუფის მიერ განხორციელებული ვიზუალური დათვალიერებისას დადგინდა, რომ შენობაში მიმდინარე აქტიური სარეაბილიტაციო სამუშაოების გამო, ბიბლიოთეკისა და სამკითხველო არ იყო სრულად რეაბილიტირებული, შესაბამისად, წიგნები მოცემულ ეტაპზე არ იყო თაროებზე განლაგებული და ხელმისაწვდომი მკითხველისთვის. ყოველივე აღნიშნულიდან გამომდინარე, შეფასების მომენტში არსებული ფაქტობრივი მოცემულობით, ახალ მისამართზე საბიბლიოთეკო სივრცე და რესურსები არ იყო მზადყოფნაში და არ შეესაბამებოდა ინდიკატორის მოთხოვნებს.**

**სკოლამ წარმოადგინა შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა და შესაბამისობის უზრუნველყოფის აქტივობების შესრულების შესაბამისი მტკიცებულებები: ბიბლიოთეკისა და სამკითხველო სივრცის ამსახველი ფოტომასალა, ინვენტარის შესყიდვის**

**დოკუმენტაცია. წარმოდგენილი მტკიცებულები იძლევა დადებითი შეფასების საფუძველს ,რომ ხარვეზი სრულადაა აღმოფხვრილი და ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

### ინდიკატორი 3.5.1.3. დაკმაყოფილებულია

**4. სკოლის ინფრასტრუქტურა ქმნის სწავლის ინკლუზიურ გარემოს**

სკოლას აქვს ლიფტი,რომელიც იძლევა საშუალებას შშმ პირისათვის ხელმისაწვდომი გახდეს სკოლის ყველა სივრცე. სკოლას გათვალისწინებული აქვს სივრცე რესურსოთახის, ადაპტირებული სველი წერტილების, სააქტო დარბაზის, სპორტდარბაზის, ლაბორატორიისა და ბიბლიოთეკისათვის, თუმცა ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტის მომენტში მიმდინარე სარეაბილიტაციო სამუშაოების გამო არსებული სიტუაცია არ იძლეოდა ინდიკატორის მოთხოვნებთან სრული შესაბამისობის დადასტურების შესაძლებლობას.

**სკოლამ წარმოადგინა შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა და შესაბამისობის უზრუნველყოფის აქტივობების შესრულების შესაბამისი მტკიცებულებები: ინკლუზიური გარემოს მოწყობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია,შესაბამისი ფოტომასალა. წარმოდგენილი მტკიცებულები იძლევა დადებითი შეფასების საფუძველს ,რომ ხარვეზი სრულადაა აღმოფხვრილი და ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

### ინდიკატორი 3.5.1.4. დაკმაყოფილებულია

**5. სკოლის ინფრასტრუქტურა ემსახურება სკოლის სოციო-კულტურულ სივრცედ ჩამოყალიბებას**

შპს „ქართულ-ამერიკული საერთაშორისო სკოლა პროგრესის“ ახალ ფართში გათვალისწინებული მრავალფუნქციური ინფრასტრუქტურა იძლევა სრულ შესაძლებლობას, დაწესებულება ჩამოყალიბდეს აქტიურ სოციო-კულტურულ და საგანმანათლებლო ჰაბად. სკოლის გარე სივრცე (ეზო და დაგეგმილი სპორტული მოედანი), ნათელი, ფართო დერეფნები და სააქტო დარბაზი ქმნის ოპტიმალურ გარემოს მოსწავლეთა თვითგამოხატვის, გუნდური მუშაობისა და ჯანსაღი ცხოვრების წესის პოპულარიზაციისთვის.

ეს სივრცეები ორიენტირებულია არაფორმალური განათლების ხელშეწყობაზე, სადაც შესაძლებელია სხვადასხვა სახის შემოქმედებითი, კულტურული და სპორტული აქტივობების, სასკოლო სპექტაკლების, გამოფენებისა და თემატური პროექტების განხორციელება.
ინფრასტრუქტურის ასეთი მოწყობა ხელს უწყობს სასკოლო საზოგადოების წევრებს შორის კომუნიკაციის გაძლიერებას, თემთან ინტეგრაციას და მოსწავლეებში კრიტიკული, შემოქმედებითი და სოციალური უნარების კომპლექსურ განვითარებას.

**ინდიკატორი 3.5.1.5. დაკმაყოფილებულია**

დასტურდება (მტკიცებულებები):
*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

1. ამონაწერი საჯარო რეესტრიდან
2. იჯარის ხელშეკრულება,
3.ინფორმაციული ტექნოლოგიების გამოყენების,მატერიალური რესურსით სარგებლობის და ლაბორატორიის სარგებლობის წესი ბრძანება 02/160/15.10.2023
4. ბიბლიოთეკის დებულება,ბრძანება 02/194.21.12.2023წ.
5. ელბიბლიოთეკის გამოყენების ინსტრუქცია
6. ინკლუზიური განათლების დებულების, სამოქმედო გეგმის და პროცესის შიდა მონიტორინგის წესი

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

**3.6. საინფორმაციო რესურსები**

**3.6.1. სკოლის ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელს უწყობს მისი ძირითადი საქმიანობის განხორციელებას**

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა უზრუნველყოფს ადმინისტრაციული და სასწავლო პროცესის სრულფასოვან წარმართვას**

შპს „ქართულ-ამერიკული საერთაშორისო სკოლა პროგრესის“ საინფორმაციო ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურული მოწყობა ხორციელდება სასწავლო და ადმინისტრაციული პროცესების სრულფასოვანი ტექნოლოგიური მხარდაჭერის მიზნით. საავტორიზაციო პერიოდში, დაწესებულების შენობაში მიმდინარეობს გეგმური სარემონტო სამუშაოები, რომელთა ფარგლებშიც პარალელურ რეჟიმში ხდება IT ინფრასტრუქტურის გამართვა. ტექნოლოგიური პროცესების, უსაფრთხოებისა და რისკების ეფექტიანი მართვის მიზნით, სკოლაში უკვე შემუშავებული და დამტკიცებულია „ინფორმაციული ტექნოლოგიების მართვის წესი“. აღნიშნული დოკუმენტი აკონტროლებს IT ინფრასტრუქტურის უსაფრთხო ექსპლუატაციის სტანდარტებს, ტექნოლოგიური რესურსების განაწილებისა და სისტემის ეტაპობრივი განვითარების მექანიზმებს. სკოლის ორგანიზაციული სტრუქტურით გათვალისწინებულია ინფორმაციული ტექნოლოგიების სპეციალისტის პოზიცია, რომელიც ზედამხედველობს მიმდინარე სარეაბილიტაციო პროცესში ტექნოლოგიური კომპონენტების სწორ ინტეგრაციას. ინფრასტრუქტურული სამუშაოების დასრულებისთანავე საგანმანათლებლო სივრცეები სრულად აღიჭურვება ციფრული კომპეტენციების განვითარებაზე ორიენტირებული მატერიალური რესურსით: უზრუნველყოფილი იქნება მუდმივი, მაღალსიჩქარიანი ინტერნეტ-კავშირითა (Wi-Fi/LAN) და მულტიმედიური მონიტორებით; ბიბლიოთეკაში, რესურსოთახსა და ლაბორატორიებში განთავსდება პროფილირებული ტექნიკა. სასწავლო მიზნებისათვის მობილიზებულია შესაბამისი სიმძლავრის 20 ერთეული კომპიუტერი. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, შეფასების მომენტში არსებული ფაქტობრივი მდგომარეობით, სკოლის გარემო ჯერ არ არის დასრულებული, მზადყოფნაში და რეალურად ხელმისაწვდომი.

სკოლამ წარმოადგინა შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა და შესაბამისობის უზრუნველყოფის აქტივობების შესრულების შესაბამისი მტკიცებულებები: კომპიუტერული ლაბორატორიის ამსახველი ფოტომასალა, კომპიუტერული ტექნიკისა და ინვენტარის შესყიდვის დოკუმენტაცია. წარმოდგენილი მტკიცებულები იძლევა დადებითი შეფასების საფუძველს ,რომ ხარვეზი სრულადაა აღმოფხვრილი და ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

ინდიკატორი 3.6.1.1. დაკმაყოფილებულია

2. ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელმისაწვდომია მოსწავლეებისა და პერსონალისათვის სკოლის მიერ დადგენილი წესის შესაბამისად

სკოლა, მოსწავლეთა და თანამშრომელთა სარგებლობისთვის უზრუნველყოფს მოწესრიგებულ და უსაფრთხო გარემოს, რომელიც ეფუძნება წინასწარ განსაზღვრულ წესებსა და პოლიტიკას. ეს წესები მოიცავს ტექნოლოგიური რესურსების გამოყენების პირობებს, რომლებიც მიზნად ისახავს როგორც ქსელის უსაფრთხოების, ისე თითოეული მომხმარებლის პირადი მონაცემების დაცვას. სკოლას ჰყავს IT სპეციალისტი, რომელიც საჭიროების შემთხვევაში უზრუნველყოფს ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურულ გამართულობას და ტექნიკურ მომსახურეობას. მიუხედავად იმისა, რომ შპს „ქართულ-ამერიკულ საერთაშორისო სკოლა პროგრესს“ დოკუმენტურად გაწერილი აქვს საინფორმაციო ტექნოლოგიური რესურსებით სარგებლობის წესები, ქსელის უსაფრთხოებისა და პერსონალურ მონაცემთა დაცვის პოლიტიკა, ასევე საშტატო განრიგით განსაზღვრული ჰყავს IT სპეციალისტი, ახალ სასწავლო კორპუსში (ზ. ანჯაფარიძის N120) აღნიშნული ინფრასტრუქტურის ფიზიკური ხელმისაწვდომობა მოცემულ ეტაპზე ვერ დასტურდება.

ექსპერტთა ჯგუფის მიერ ადგილზე განხორციელებული ვიზუალური დათვალიერების მომენტში შენობაში მიმდინარე აქტიური სარეაბილიტაციო/სარემონტო სამუშაოების გამო კომპიუტერული სისტემები, ქსელური რესურსები, სტაციონარული ინტერნეტ კავშირი და სხვა აუცილებელი ციფრული ინსტრუმენტები ჯერ კიდევ არ არის ფიზიკურად დამონტაჟებული, გამართული და მზადყოფნაში სასწავლო თუ ადმინისტრაციული პროცესების საწარმოებლად.

ყოველივე აღნიშნულიდან გამომდინარე, ვინაიდან შეფასების მომენტში არსებული ფაქტობრივი მოცემულობით ზემოთ ჩამოთვლილი მატერიალურ-ტექნიკური ბაზა არ იყო რეალურად ხელმისაწვდომი მომხმარებლებისთვის, აღნიშნული კომპონენტი მოცემულ ეტაპზე არ შეფასდა შესაბამისად.

სკოლამ წარმოადგინა შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა და შესაბამისობის უზრუნველყოფის აქტივობების შესრულების შესაბამისი მტკიცებულებები: კომპიუტერული ლაბორატორიის,ადმინისტრაციული ოთახების ამსახველი ფოტომასალა,

**კომპიუტერული ტექნიკისა და ინვენტარის შესყიდვის დოკუმენტაცია. წარმოდგენილი მტკიცებულები იძლევა დადებითი შეფასების საფუძველს ,რომ ხარვეზი სრულადაა აღმოფხვრილი და ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

### ინდიკატორი 3.6.1.2. დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):
*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- ✓ ინფორმაციული ტექნოლოგიების მართვის, მატერიალური რესურსებით სარგებლობის და ლაბორატორიების სარგებლობის წესი ბრძანება 02/160.15.10.2023
- ✓ გასაუბრება სასკოლო წარმომადგენლებთან.

**3.6.2. სკოლაში საქმისწარმოება მიმდინარეობს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად**

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლაში მოქმედებს კანონმდებლობის შესაბამისი საქმისწარმოების წესი**

შპს „ქართულ-ამერიკული საერთაშორისო სკოლა პროგრესს“, საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნების, მათ შორის ეროვნული არქივისა და საქმისწარმოების ერთიანი წესების სტანდარტების დაცვით, შემუშავებული და დანერგილი აქვს „საქმისწარმოების წესი“. აღნიშნული დოკუმენტი ადგენს მყარ, ერთიან მოთხოვნებს სკოლის მმართველობით საქმიანობასთან დაკავშირებული დოკუმენტბრუნვის, ოფიციალური კორესპონდენციის მიღება-გაგზავნის, დავალებებისა და დოკუმენტების შესრულების კონტროლის ორგანიზების, ასევე საარქივო ერთეულების შემდგომი შენახვისა და გამოყენებისათვის მოსამზადებლად. სკოლაში საქმისწარმოების მთელი ციკლი მიმართულია დოკუმენტბრუნვის სრული მოწესრიგების, სამართლებრივი აქტების პროექტების კორექტულად შედგენის, თანამედროვე ტექნიკური საშუალებებით დოკუმენტური ინფორმაციის დამუშავებისათვის საჭირო პირობების შექმნისა და დაწესებულების საერთო ადმინისტრაციული ეფექტიანობის გაუმჯობესებისკენ. ინსტიტუციური სტანდარტების შესაბამისად, სკოლაში ოფიციალური საქმისწარმოება

მიმდინარეობს სახელმწიფო (ქართულ) ენაზე. ამასთანავე, სკოლის საერთაშორისო ინტერესებისა და მშობელთა კონტინგენტის მოთხოვნების გათვალისწინებით, წესით დაშვებულია და პრაქტიკაში რეალიზდება მოსწავლის სტატუსის შესახებ ცნობების, ნიშნების ფურცლების, მშობლებთან/კანონიერ წარმომადგენლებთან ოფიციალური კორესპონდენციების, მოსწავლეთა დახასიათებებისა და აკადემიური შეფასებების გაცემა ქართულ ენასთან ერთად ინგლისურ ენაზეც, რაც ხელს უწყობს სერვისების ხელმისაწვდომობის გაზრდას. სკოლის ორგანიზაციულ სტრუქტურაში შიდა კონტროლისა და პასუხისმგებლობების გამიჯვნის მიზნით, საქმისწარმოების პროცესის საერთო კოორდინაციასა და მართვაზე პასუხისმგებელია საქმისწარმოებისა და ადმინისტრირების სამსახური. აღნიშნული გამიჯვნა არ ეხება სპეციფიკურ დოკუმენტაციას: საკადრო ბრძანებების, თანამშრომელთა შრომითი ხელშეკრულებების, პერსონალური საქმეების წარმოებისა და შესაბამის მკაცრი აღრიცხვის ჟურნალებში მათი რეგისტრაციის ადმინისტრირების საკითხებზე, მონაცემთა კონფიდენციალობის პრინციპების დაცვით, სრულად პასუხისმგებელია ადამიანური რესურსების მართვის სამსახური. მატერიალური და ციფრული დოკუმენტბრუნვის პროცესები სკოლაში მიმდინარეობს ერთიან შიდა ელექტრონულ სისტემასთან (Eflow) კავშირში, რაც უზრუნველყოფს საქმისწარმოების გამჭვირვალობას, ოპერატიულობასა და დადგენილი ვადების დაცვას.

### ინდიკატორი 3.6.2.1. დაკმაყოფილებულია

2. **სკოლის მართვაში გამოიყენება თანამედროვე ტექნოლოგიები, მათ შორის დოკუმენტბრუნვის ელექტრონული სისტემა**

შპს „ქართულ-ამერიკული საერთაშორისო სკოლა პროგრესისათვის“ ერთ-ერთ უმთავრეს პრიორიტეტს წარმოადგენს მართვის პროცესებში თანამედროვე საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების ინტეგრირება და ციფრული ტრანსფორმაცია. სკოლის სტრატეგიული განვითარების გეგმით განსაზღვრული ორგანიზაციული მართვისა და რესურსების განვითარების მიზნის მისაღწევად, ინსტიტუციურ დონეზე აქტიურად ხორციელდება თანამედროვე ელექტრონული მართვის სისტემების დანერგვა, ოპტიმიზაცია და მუდმივი განვითარება.ამ მიმართულებით მნიშვნელოვან ნაბიჯს წარმოადგენს 2023-2024 ელექტრონული საქმისწარმოების ერთიანი სისტემის (Eflow) დანერგვა, რამაც არსებითად გააუმჯობესა შიდა ორგანიზაციული დოკუმენტბრუნვის სიჩქარე, გამჭვირვალობა და ეფექტიანობა. საკომუნიკაციო პოლიტიკისა და მონაცემთა უსაფრთხოების სტანდარტების დაცვის მიზნით, სკოლაში გამართულად ფუნქციონირებს კორპორატიული ელექტრონული ფოსტა (დომენით: @schoolprogress.ge), რომელიც წარმოადგენს ოფიციალური შიდა და გარე მიმოწერის ძირითად არხს სასკოლო საზოგადოების წევრებისათვის. გარდა ამისა, საგანმანათლებლო და ადმინისტრაციული პროცესების მართვა, მოსწავლეთა პერსონალური

მონაცემების აღრიცხვა და აკადემიური მოსწრების მონიტორინგი ცენტრალიზებულად ხორციელდება ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში (Eschool). ყველა აღნიშნული ციფრული პლატფორმის ფუნქციონირება ხორციელდება სკოლის მიერ შემუშავებული შიდა ინსტრუქციების დაცვით. მიუხედავად იმისა, რომ სკოლას დოკუმენტურად დანერგილი აქვს ელექტრონული მართვისა და საქმისწარმოების სისტემები (Eflow, Eschool, კორპორატიული ელ-ფოსტა) და მათი მუშაობის სპეციფიკა გადამოწმდა პორტატული მოწყობილობების მეშვეობით, ახალ სასწავლო კორპუსში (ზ. ანჯაფარიძის N120) აღნიშნული სისტემების სკოლის ადმინისტრაციასთან და პასუხისმგებელ პირებთან ჩატარებული ინტერვიუების შედეგად დადგინდა, რომ მიუხედავად ახალ კორპუსში (ზ. ანჯაფარიძის N120) მიმდინარე აქტიური სარეაბილიტაციო სამუშაოებისა, სკოლის საქმისწარმოების, მატერიალური არქივის წარმოებისა და საკადრო/ადმინისტრაციული დოკუმენტაციის გაცემის პროცესი ცენტრალიზებულად ხორციელდება დაწესებულების ავტორიზებულ ძირითად შენობაში, მისამართზე: ქ. ქუთაისი, გ. აღმაშენებლის გამზ. N20. ვინაიდან საქმისწარმოების პროცესი და დოკუმენტების უსაფრთხო შენახვა ფაქტობრივად უზრუნველყოფილია სკოლის მოქმედ ინფრასტრუქტურულ ბაზაზე, ახალ შენობაში მიმდინარე სარემონტო ფაზა გავლენას არ ახდენს ამ სერვისის უწყვეტობასა და ხელმისაწვდომობაზე. შესაბამისად, შეფასების მომენტში არსებული ფაქტობრივი მოცემულობით, აღნიშნული კომპონენტი სრულად შეესაბამება ინდიკატორის მოთხოვნებს.

### ინდიკატორი 3.6.2.2. დაკმაყოფილებულია

3. **სკოლას აქვს სრულყოფილი პროფილი ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში**

ექსპერტთა ჯგუფის მიერ, მათ შორის ადმინისტრაციულ პერსონალთან ინტერვიუებისა და ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში (Eschool) უშუალო დათვალიერების გზით, გადამოწმდა შპს „ქართულ-ამერიკული საერთაშორისო სკოლა პროგრესის“ ელექტრონული პროფილი. ვერიფიკაციის შედეგად დადასტურდა, რომ სკოლის პროფილი არის სრულყოფილი, მონაცემები ასახულია რეალურ დროში და ხდება მათი სისტემატური განახლება. ვინაიდან აღნიშნული საინფორმაციო სისტემის მართვა, მონიტორინგი და მონაცემთა მუდმივი მოდიფიცირება ტექნიკურად ხორციელდება სკოლის მოქმედ, ავტორიზებულ ძირითად კორპუსში (მისამართზე: ქ. ქუთაისი, გ. აღმაშენებლის გამზ. N20), ახალ სასწავლო შენობაში (ზ. ანჯაფარიძის N120) მიმდინარე აქტიური სარეაბილიტაციო სამუშაოები გავლენას არ ახდენს ელექტრონული ბაზების მუშაობის უწყვეტობასა და ეფექტიანობაზე. სკოლის მიერ სრულად არის უზრუნველყოფილი სისტემაში გამოვლენილ ნებისმიერ საჭიროებაზე ოპერატიული რეაგირების მექანიზმები. ყოველივე აღნიშნულიდან გამომდინარე, შეფასების მომენტში არსებული ფაქტობრივი მდგომარეობით, აღნიშნული კომპონენტი **სრულად შეესაბამება ინდიკატორის მოთხოვნებს**

### ინდიკატორი 3.6.2.3. დაკმაყოფილებულია

4. **სკოლა დროულად აწვდის ანგარიშებს, უკუკავშირსა და ინფორმაციას საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელ უწყებებს და თანამშრომლობს მათთან**

ექსპერტთა ჯგუფის მიერ წარმოდგენილი ოფიციალური მიმოწერის, გაგზავნილი კორესპონდენციებისა და ანგარიშგების დოკუმენტაციის ანალიზით დასტურდება, რომ შპს „ქართულ-ამერიკული საერთაშორისო სკოლა პროგრესი“ სრულად და დროულად ასრულებს კანონმდებლობით დადგენილ მარეგულირებელ მოთხოვნებს. დაწესებულება მჭიდროდ და ეფექტიანად თანამშრომლობს ყველა ზემოაღნიშნულ სახელმწიფო უწყებასთან. ვინაიდან საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელ ორგანოებთან ოფიციალური ანგარიშგების, უკუკავშირისა და ინფორმაციის გაცვლის პროცედურები, თავისი სპეციფიკიდან გამომდინარე, ადმინისტრირდება და უწყვეტ რეჟიმში ხორციელდება სკოლის მოქმედ, ავტორიზებულ ძირითად მისამართზე (ქ. ქუთაისი, გ. აღმაშენებლის გამზ. N20), ახალ სასწავლო კორპუსში (ზ. ანჯაფარიძის N120) მიმდინარე სარეაბილიტაციო ფაზა გავლენას არ ახდენს ამ პროცესის დროულობასა და ინსტიტუციურ სტაბილურობაზე. ყოველივე აღნიშნულიდან გამომდინარე, შეფასების მომენტში არსებული ფაქტობრივი მოცემულობით, **აღნიშნული კომპონენტი სრულად შეესაბამება ინდიკატორის მოთხოვნებს**

### ინდიკატორი 3.6.2.4. დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):
*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- ✓ საქმისწარმოების მეთოდოლოგიის დოკუმენტი;
- ✓ eSchool-ის, eflow-სა და outlook-ის წარმოების ამსახველი ფოტომასალა;
- ✓ ინტერვიუ სკოლის წარმომადგენლებთან.

**3.6.3. სკოლა მიზნობრივად წარმართავს საზოგადოებასთან ურთიერთობას**

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლა ახორციელებს საზოგადოების ინფორმირებას და კომუნიკაციას ოფიციალური ვებ გვერდისა/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდისა და სხვა საკომუნიკაციო არხების საშუალებით**

სკოლის სტრუქტურით განსაზღვრულია საზოგადოებასთან ურთიერთობისა და მარკეტინგის სამსახური, რომელიც გენერალურ დირექტორს ექვემდებარება. სამსახურის მიერ შემუშავებული და გენერალური დირექტორის № 02/122/.21.09.2023წ. ბრძანებით დამტკიცებულია „საზოგადოებასთან კომუნიკაციის წესი“, რომლის მიზანია საქმიანობის გამჭვირვალობა, ობიექტურ ინფორმაციაზე ხელმისაწვდომობა და უკუკავშირის უზრუნველყოფა. დოკუმენტის მე-5 მუხლი არეგულირებს ვებგვერდითა და სოციალური ქსელებით კომუნიკაციის საკითხებს. სკოლას აქვს ოფიციალური ვებგვერდი (https://progresskutaisi.ge/ka), რომლის დომეინისა და ჰოსტინგის მომსახურების ხელშეკრულება გაფორმებულია შპს „პროსერვისთან“. ვებგვერდის ტექნიკურ მართვაზე პასუხისმგებელია WEB დეველოპერი, ხოლო სოციალური ქსელების ადმინისტრირებაზე — სოციალური და ციფრული კომუნიკაციების მენეჯერი. ვებგვერდი შეიცავს სრულყოფილ ინფორმაციას სკოლის შესახებ: მისია, ხედვა, ღირებულებები, სტრუქტურა, პროგრამების სახელწოდებები, ჩარიცხვის პროცედურები, მისანიჭებელი კვალიფიკაცია, ფინანსური მდგრადობის ანგარიში, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები და საკონტაქტო ინფორმაცია. გარდა ციფრული არხებისა, სკოლა იყენებს საჯარო ღონისძიებებსა და შეხვედრებს. ასევე შემუშავებულია „მოსწავლის აკადემიური მოსწრების შესახებ მშობლის ინფორმირებისა და მშობელთან ურთიერთობის დებულება“. საზოგადოებასთან კომუნიკაციასა და მარკეტინგს სკოლის სტრატეგიაში მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს. ექსპერტთა ჯგუფის მიერ შპს „ქართულ-ამერიკული საერთაშორისო სკოლა პროგრესის“ ოფიციალური ვებგვერდისა და სოციალური მედიის პლატფორმების გადამოწმებით დადასტურდა, რომ საინფორმაციო ველები სრულად და ამომწურავად შეიცავს სტანდარტით გათვალისწინებულ ყველა სავალდებულო კომპონენტს. სკოლაში რეალურად ფუნქციონირებს მარკეტინგის სამსახური, ხოლო კომუნიკაციისა და მშობელთა ჩართულობის პროცესები რეგულირდება სათანადო შიდა აქტებით. ვინაიდან საზოგადოებასთან კომუნიკაციის მართვა, ციფრული არხების ადმინისტრირება და მშობლებთან ურთიერთობის კოორდინაცია უწყვეტ რეჟიმში ხორციელდება სკოლის მოქმედ, ავტორიზებულ ძირითად კორპუსში (მისამართზე: ქ. ქუთაისი, გ. აღმაშენებლის გამზ. N20), ახალ სასწავლო შენობაში (ზ. ანჯაფარიძის N120) მიმდინარე აქტიური სარეაბილიტაციო სამუშაოები გავლენას არ ახდენს საკომუნიკაციო არხების გამართულობაზე. ყოველივე აღნიშნულიდან გამომდინარე, შეფასების მომენტში არსებული ფაქტობრივი მდგომარეობით, **აღნიშნული კომპონენტი სრულად შეესაბამება ინდიკატორის მოთხოვნებს.**

### ინდიკატორი 3.6.3.1. დაკმაყოფილებულია

2. **სკოლა უზრუნველყოფს მისი საქმიანობის, მათ შორის მის მიერ განხორციელებული საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ მხოლოდ სანდო და უტყუარი ინფორმაციის გავრცელებას**

საზოგადოებასთან კომუნიკაციის მიზანია საქმიანობის გამჭვირვალობა; სანდო, უტყუარ და ობიექტურ ინფორმაციაზე ხელმისაწვდომობა; საკომუნიკაციო მომსახურების გაუმჯობესება და ხელმისაწვდომობის ზრდა; საზოგადოების უკუკავშირი სკოლის საქმიანობის ხარისხის გაუმჯობესების პროცესში. წესის მიხედვით ვებ.გვერდზე სავალდებულოდ განსათავსებელია სკოლაში არსებული პროგრამების შესახებ ინფორმაცია. შესაბამისად, სკოლა თავის საქმიანობას წარმართვას წესის შესაბამისად. სკოლის სახელით შექმნილი ყველა პლატფორმა ხელმისაწვდომია მოსწავლეების და პერსონალისთვის სკოლის მიერ დადგენილი წესის შესაბამისად; ინფორმაციის განთავსებისას დაცულია პერსონალ მონაცემთა დაცვის შესახებ საქართველოს კანონის მოთხოვნები. ვინაიდან აღნიშნული პლატფორმების ადმინისტრირება, საინფორმაციო კონტენტის გაფილტვრა და მონაცემთა უსაფრთხოების კონტროლი უწყვეტად ხორციელდება შპს „ქართულ-ამერიკული საერთაშორისო სკოლა პროგრესის“ მოქმედ, ავტორიზებულ ძირითად კორპუსში (მისამართზე: ქ. ქუთაისი, გ. აღმაშენებლის გამზ. N20), ახალ სასწავლო შენობაში (ზ. ანჯაფარიძის N120) მიმდინარე აქტიური სარეაბილიტაციო სამუშაოები გავლენას არ ახდენს მონაცემთა დაცულობის ხარისხსა და ციფრული რესურსების მართვაზე. ყოველივე აღნიშნულიდან გამომდინარე, შეფასების მომენტში არსებული ფაქტობრივი მოცემულობით, **აღნიშნული კომპონენტი სრულად შეესაბამება ინდიკატორის მოთხოვნებს.**

### ინდიკატორი 3.6.3.2. დაკმაყოფილებულია

3. **საზოგადოებასთან კომუნიკაციის პროცესში სხვადასხვა არხით მიღებულ უკუკავშირს სკოლა იყენებს საკუთარი საქმიანობის ხარისხის გასაუმჯობესებლად**

სკოლა საზოგადოებასთან კომუნიკაციისთვის იყენებს სხვადასხვა არხს, მათ შორის, ვებ. გვერდს, სოციალურ ქსელებს. გათვალისწინებულია საჯარო ღონისძიებები და გარე შეხვედრები და სხვა. კომუნიკაციის წესი ითვალისწინებს უკუკავშირის მიღებასა და უკუკავშირის საფუძველზე საქმიანობის გასაუმჯობესებლად რეკომენდაციების შემუშავებას და გენერალური დირექტორისთვის წარდგენას. ყოველივე აღნიშნულით ვადასტურებთ, რომ სკოლა იღებს უკუკავშირს სხვადასხვა დაინტერესებული მხარიდან და მიღებული უკუკავშირის საფუძველზე აუმჯობესებს თავის საქმიანობას.მიმდინარე აქტიური სარეაბილიტაციო სამუშაოები გავლენას არ ახდენს ამ პროცესის ეფექტიანობასა და უწყვეტობაზე.

ყოველივე აღნიშნულიდან გამომდინარე, შეფასების მომენტში არსებული ფაქტობრივი მოცემულობით, **აღნიშნული კომპონენტი სრულად შეესაბამება ინდიკატორის მოთხოვნებს.**

### ინდიკატორი 3.6.3.3. დაკმაყოფილებულია

4. **სკოლას აქვს მოქმედი ვებ გვერდი/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდი, რომელზეც განთავსებულია ინფორმაცია ქართულ ენაზე, ასევე იმ ენაზე, რომელზეც ახორციელებს სწავლებას**

სკოლის მისიით გაცხადებულია საერთაშორისო პროგრამების განხორციელება. საზოგადოებასთან კომუნიკაციის წესით გათვალისწინებულია, რომ ვებ. გვერდი ორ ენაზე ქართულ და ინგლისურ ენებზე ფუნქციონირებს. ასევე სკოლას აქვს ინგლისურ ენაზე პროგრამის განხორცილების უფლება. ვინაიდან ორენოვანი ვებგვერდის ადმინისტრირება, კონტენტის თარგმნა და საერთაშორისო სტანდარტების ციფრული მხარდაჭერა ცენტრალიზებულად ხორციელდება სკოლის მოქმედ, ავტორიზებულ ძირითად კორპუსში (მისამართზე: ქ. ქუთაისი, გ. აღმაშენებლის გამზ. N20), ახალ სასწავლო შენობაში (ზ. ანჯაფარიძის N120) მიმდინარე აქტიური სარეაბილიტაციო სამუშაოები გავლენას არ ახდენს ციფრული არხების ორენოვან ფუნქციონირებასა და საინფორმაციო ხელმისაწვდომობაზე.
ყოველივე აღნიშნულიდან გამომდინარე, შეფასების მომენტში არსებული ფაქტობრივი მოცემულობით, **აღნიშნული კომპონენტი სრულად შეესაბამება ინდიკატორის მოთხოვნებს.**

### ინდიკატორი 3.6.3.4. დაკმაყოფილებულია

5. **ვებ გვერდი/ვებ გვერდის შესაბამისი გვერდი შეიცავს შემდეგ ინფორმაციას სკოლის შესახებ: მისია, ხედვა, ღირებულებები, სტრუქტურა, პროგრამ(ებ)ის სახელწოდებები, ამ პროგრამებზე ჩარიცხვის პროცედურები და მისანიჭებელი კვალიფიკაცია (განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი), სასწავლო პროცესთან დაკავშირებული აუცილებელი მოთხოვნები, მოსწავლეთა მხარდაჭერის სერვისები, გასაჩივრების მექანიზმები, ფინანსური მდგრადობის შესახებ ანგარიში, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები და საკონტაქტო ინფორმაცია**

სკოლის გენერალური დირექტორის ბრძანებით დამტკიცებულია სკოლის საზოგადოებასთან კომუნიკაციის წესის მე-5 მუხლი განსაზღვრავს ვებ გვერდზე სავალდებულოდ განსათავსებელ ინფორმაციას და წესის შესაბამისად, შეიცავს შემდეგ ინფორმაციას სკოლის შესახებ: მისია, ხედვა, ღირებულებები, სტრუქტურა, პროგრამ(ებ)ის სახელწოდებები, ამ პროგრამებზე ჩარიცხვის პროცედურები და მისანიჭებელი კვალიფიკაცია (განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი), სასწავლო პროცესთან დაკავშირებული აუცილებელი მოთხოვნები, მოსწავლეთა მხარდაჭერის სერვისები, გასაჩივრების მექანიზმები, ფინანსური მდგრადობის შესახებ ანგარიში, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები და საკონტაქტო ინფორმაცია. ვინაიდან ვებგვერდზე ინფორმაციის განთავსების სამართლებრივი და ტექნიკური პროცესი ცენტრალიზებულად იმართება სკოლის მოქმედ, ავტორიზებულ ძირითად კორპუსში (მისამართზე: ქ. ქუთაისი, გ. აღმაშენებლის გამზ. N20), ახალ სასწავლო შენობაში (ზ. ანჯაფარიძის N120) მიმდინარე აქტიური სარეაბილიტაციო სამუშაოები გავლენას არ ახდენს ვებგვერდის ფუნქციონირებასა და საინფორმაციო გამჭვირვალობის სტანდარტების დაცვაზე.
ყოველივე აღნიშნულიდან გამომდინარე, შეფასების მომენტში არსებული ფაქტობრივი მოცემულობით, **აღნიშნული კომპონენტი სრულად შეესაბამება ინდიკატორის მოთხოვნებს.**

### ინდიკატორი 3.6.3.5. დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):
*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

1. სკოლის გენერალური დირექტორის ბრძანება № 02/122/;21.09.2023წ.სკოლის საზოგადოებასთან კომუნიკაციის წესი
2. მშობელის ინფორმირებულობის და კომუნიკაციის დებულება
3. პიარ-მარკეტინგის გეგმა
4. დამრიგებლის დებულება
5. მშობელთა ასოციაციის დებულება
6. სკოლის სტრატეგიული განვითარების გეგმა
7. ერთწლიანი სამოქმედო გეგმა

8. ციფრული მედიის სტრატეგია

9. (ვებგვერდი)დომენის და ჰოსტინგის შესყიდვის ხელშეკრულებები.

10. ვებ გვერდის ლინკი: https://kutaisi.schoolprogress.ge/ka სადაც ატვირთულია მისია, ხედვა, ღირებულებები, სტრუქტურა, პროგრამ(ებ)ის სახელწოდებები, ამ პროგრამებზე ჩარიცხვის პროცედურები და მისანიჭებელი კვალიფიკაცია ,მოსწავლეთა მხარდაჭერის სერვისები, გასაჩივრების მექანიზმები, ფინანსური მდგრადობის შესახებ ანგარიში, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები და საკონტაქტო ინფორმაცია.,საზოგადოებასთან კომუნიკაციის წესი

11. განცხადებების/საჩივრების განხილვის წესი ბრძანება №.02.1431 16.10.2023წ.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

**3.7. ფინანსური რესურსები**

**3.7.1. სკოლა ფინანსურად მდგრადია**

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლის ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია სამოქმედო გეგმის განხორციელება**

შპს „ქართულ-ამერიკული საერთაშორისო სკოლა პროგრესის“ სამართლებრივი სტატუსი, სადამფუძნებლო სტრუქტურა და ფუნქციონირების არეალი რეგულირდება დაწესებულების წესდებით, რომელიც შემუშავებულია „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნათა სრული დაცვით. აღნიშნული დოკუმენტი წარმოდგენილია თვითშეფასების ანგარიშის დანართის სახით და მასში იდენტიფიცირებულია პარტნიორთა წილობრივი მონაწილეობის, უფლება-მოვალეობებისა და ფინანსური განკარგვის სამართლებრივი მექანიზმები. დაწესებულების ფინანსური მდგრადობისა და მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განვითარების ძირითად საფუძველს წარმოადგენს საგანმანათლებლო საქმიანობიდან მიღებული შემოსავლები, კერძოდ, მოსწავლეთა სტაბილური კონტინგენტის სწავლის საფასური და სახელმწიფო ვაუჩერული დაფინანსება. სკოლის ფინანსური რესურსების მართვა ხორციელდება სტრატეგიული და ერთწლიანი სამოქმედო გეგმების შესაბამისად, რაც უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროცესის უწყვეტობასა და განვითარებაზე ორიენტირებულ გარემოს. შემუშავებული მეთოდოლოგიის თანახმად, ერთწლიან სამოქმედო გეგმაში დეტალურად არის გაწერილი თითოეული აქტივობის ფინანსური უზრუნველყოფის წყაროები, რაც ადასტურებს ბიუჯეტირების პროცესის მიზნობრიობასა და რესურსების ეფექტურ განაწილებას დასახული მიზნების მისაღწევად.

### ინდიკატორი 3.7.1.1. დაკმაყოფილებულია

2. **სკოლას აქვს ფინანსური რესურსების მართვის (დაგეგმვის, განკარგვის, მონიტორინგის და ა.შ.) სისტემა**

შპს „ქართულ-ამერიკული საერთაშორისო სკოლა პროგრესის“ ორგანიზაციული სტრუქტურა უზრუნველყოფს ფინანსური რესურსების მართვის გამართულ და იერარქიულად დაბალანსებულ სისტემას. დაწესებულებაში ფუნქციონირებს ფინანსური სამსახური, რომელიც დაკომპლექტებულია კვალიფიციური კადრებით: ფინანსური და ბიზნესის განვითარების დირექტორი (სამსახურის ხელმძღვანელი), ფინანსური მენეჯერი და ფინანსური ასისტენტი. აღნიშნული სტრუქტურული ერთეულის ფუნქციონალური დატვირთვა მოიცავს სკოლის ფინანსური მდგრადობის უზრუნველყოფას, ბიუჯეტის დაგეგმვას, მისი შესრულების კონტროლსა და ოპერაციულ მართვას. ფინანსური და ბიზნესის განვითარების დირექტორის კომპეტენციას განეკუთვნება ფინანსური რესურსების დაგეგმვის, განკარგვისა და მონიტორინგის ერთიანი სისტემის შემუშავება, ფულადი შემოსავლების ოპტიმიზაცია და სტრატეგიული ბიუჯეტირება. დაწესებულებაში მოქმედებს მკაფიოდ ჩამოყალიბებული ფინანსური პოლიტიკა, რომელიც ეფუძნება მოქნილობისა და რისკების პრევენციის პრინციპებს. ვინაიდან დაგეგმვის პროცესი საპროგნოზო მაჩვენებლებს ემყარება, სკოლაში დანერგილია საჭიროების შემთხვევაში ბიუჯეტის გადახედვისა და მასში კორექტივების/ცვლილებების შეტანის ვალიდური მექანიზმი. დაწესებულება საქმიანობას წარმართავს მაღალი გამჭვირვალობისა და ანგარიშვალდებულების სტანდარტით. ბუღალტრული აღრიცხვა და ფინანსური ანგარიშგება ხორციელდება „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნათა სრული

დაცვით. სკოლა რეგისტრირებულია ფინანსური აღრიცხვის, ანგარიშგების ოფიციალურ პორტალზე, სადაც კანონმდებლობით დადგენილ ვადებში ახდენს ფინანსური ანგარიშგებების განთავსებას. სკოლის ფინანსური სტაბილურობის გრძელვადიან დაგეგმვას ადასტურებს შემუშავებული 2025-2026 წლების საპროგნოზო ბიუჯეტი, ხოლო საზოგადოების წინაშე ანგარიშვალდებულების მიზნით, დაწესებულება უზრუნველყოფს წლის ბოლოს ფინანსური მდგრადობის შესახებ ანგარიშის საჯაროობას საკუთარ ოფიციალურ ვებგვერდზე.

### ინდიკატორი 3.7.1.2. დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):
*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- ✓ სკოლის 2025-2026 წლის ბიუჯეტი
- ✓ ერთწლიანი სამოქმედო გეგმა
- ✓ წესდება
- ✓ ფინანსური და ბიზნესს განვითარების დირექტორის, ფინანსური მენჯერის სამუშაო აღწერილობები
- ✓ ინტერვიუ სკოლის წარმომადგენლებთან.

შეფასება:
- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

## ნაწილი V. თანდართული დოკუმენტაცია

.....
.....
.....
.....

თარიღი 12 აგვისტო,2026წ.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერა: